# საროჩიელი

საპორტული გაზეთი პარასკევი 3 ოქტომბერი 2003 №187 (1958) ფასი 50 თეთრი




# გულმავიწყობა არჩევნებამდე
## საპარლამენტო რია-რია, ნაკრები და... სად არის ჟორდანია?



გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დიდი რია-რია და გაწევ-გამოწევა იყო. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის დათქმულ ვადაში წარადგინეს პარტიებმა კანდიდატთა სიები.

არჩევნებამდე ერთი თვეა დარჩენილი, 11 ოქტომბრამდე კი რვა დღე. ხოლო ის,რომ11ოქტომბერს საქართველოს ეროვნულ გუნდს მოსკოვში რუსთა ნაკრები კბილალესილი ელის, ვინძლო ქომაგს შეხსენება არ უნდა სჭირდებოდეს. ქომაგს არა და, დეპუტატობის მოსურნე ფედერაციის პრეზიდენტსა და ეროვნული გუნდის მწვრთნელ მერაბ ჟორდანიას, რომელიც საარჩევნო კამპანიას ლანჩხუთში წარმართავს და მხარდამჭერთა სიას ავსებს, ეტყობა დაავიწყდა, რომ მთავარი სანაკრებო სიაა. შევნიშნოთ: ჟორდანიას ჯერ იმ ფეხბურთელების სრული სია არ გამოუცხადებია, მოსკოვში „ორთავა არწივთან“ სათამაშოდ რომ უნდა იახლოს. მერაბ ჟორდანიას დღესდღეობით არ ეკისრება პასუხისმგებლობა როგორც დეპუტატს, იმიტომ რომ დეპუტატი არ არის, მაგრამ იგი პასუხისმგებელია როგორც სფფ-ის თავკაცი და ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი.

# დინამო ალაპარაკდა
## არჩევანის უფლება ჩამოგვართვეს
## ალეკო გოგობერიშვილი

...მოხდა ის, რასაც არ ველოდით, შემცირებულ პრემიასაც არ გვაძლევენ, „დინამოში“ ამის გამო მოხდა სკანდალი

...როგორც ვიცი, ყველაფერი მმართველი დირექტორის დავით პეტრიაშვილის ხელშია, მანვე დაადგინა პრემიების ახლებური სისტემა

...შუშაკი მომხდარით გაოგნებული იყო. მას სურდა, პრემიალური სისტემა უცვლელი ყოფილიყო

...ძალიან გვინდოდა ბადრი პატარკაციშვილთან შეხვედრა, ჩვენი სურვილის შესახებ კლუბის დირექტორატს ვაცნობეთ, მაგრამ კლუბის პრეზიდენტთან არ შეგვახვედრეს

ინტერვიუ ალეკო გოგობერიშვილთან იხილეთ მესამე გვერდზე

2003 Greco-Roman World Championships Oct. 2-5, 2003 Creteil, France

# მუხრანმა ვახტანგურად დაიწყო
## აღარც ხატრია, აღარც ჭოჭუა

გუშინ ფრანგულ კრეტეიში დაწყებულ ბერძენ-რომაელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხმა ქართველმა იჭიდავა. ჯგუფური შეხვედრები ყველაზე უკეთ შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოსანმა მანუჩარ კვირკველიამ (66 კგ) და მსოფლიოს ჩემპიონმა მუხრან ვახტანგაძემ (84 კგ) ჩაატარეს. მათ ორ-ორ თანაჯგუფელს ისე სძლიეს, ქულაც არ დაუკარგავთ. კვირკველიამ ერთნაირი ანგარიშით, 3:0 ჯერ კანადელი ეშლი რობინსონი დაამარცხა, ხოლო შემდეგ ჩეხი ანდრეი იაროში. ვახტანგაძემ კი ბულგარელ ვლადისლავ მეთოდიევთან 3:0-ს ჰოლანდიელ ფრედ დე ვოსთან 4:0 მიაყოლა.



მუხრან ვახტანგაძემ პირველი მეტოქეები ერთი ამოსუნთქვით მოიგელა

კარგად დაიწყო ირაკლი ჭოჭუამაც (55 კგ) და მრისხანე თურქ ერქან ილდიზს შანსი არ დაუტოვა, ინდოელ მუკეშ ხატრის კი ვერაფერი მოუხერხა. სხვა ქართველთაგან განსხვავებით ჭოჭუა ოთხკაციან ჯგუფში მოხვდა და ჯგუფური პირველობის შანსი ბოლო შეხვედრის წინ კიდევ შერჩა, მაგრამ ორი შეხვედრის მომგებ ირანელ ჰასან რანგრაზთანაც წააგო.

საქართველოს ნაკრების ერთადერთი უტიტულო წევრი, მძიმეწონოსანი მირიან გიორგაძე ჩემპიონატს ისე დაემშვიდობა, ერთი გამარჯვებაც ვერ ჩაიწერა. მირიანი ჯერ ფინელ ევროპის ჩემპიონ იუა აოკასთან დამარცხდა, ხოლო შემდეგ კუბელ მიჩელ ლოპეს ნუნიესთან.

საქართველოს პირველი ლიგა პირველი | 15 | ჩემპიონატი ლიგა ეტაპი | 2 ტური გადადებული მატჩი

# ერთი დღე ქართლის ცხოვრებიდან

გორი. 2 ოქტომბერი. 16 საათი. ქართლი. 100 მაყურებელი

## ცხინვალი 1:1 ამერი

0:1 გარუჩავა (5), 1:1 დავითნიძე (4წ.კ.)

ცხინვალი: ქესანაშვილი, ელისაშვილი, ქობესაშვილი, ფეხუაშვილი, მაისურაძე, რევაზიშვილი, ხოხობაშვილი (ეჯოშვილი 61), მოსიაშვილი, საყვარელიძე, ინასარიძე (გოჩაშვილი 75), გვირჯიშვილი
მწვრთნელი: რობერტ ამბრიაშვილი

ამერი: ასლანაძე, კედელაშვილი, ელბაქიძე (ლუდუშაური 46), ჩიხრაძე, მჭედლიშვილი, კუსრაშვილი (წინამძღვრიშვილი 46), გოცირიძე (ვერემჩუკი 36), გარუჩავა, განუგრავა, რუსია, დავითნიძე
მწვრთნელი: გაიოზ დარსაძე

გაფრთხილება: კედელაშვილი (37), რევაზიშვილი (82), ლუდუშაური (90)

მსაჯები: დ. სანაია; ა. ნონიკაშვილი, ვ. ელისაბედაშვილი; ო. ხეცაძე

პაატა კედია გორიდან

**ის, რაც** გორში, „ქართლის“ სტადიონზე ვიხილეთ, ეჭვი არ არის, ნამდვილი ფეხბურთი იყო. „ცხინვალი“ სერიოზული გუნდიაო, ამბობდნენ საქმეში ჩახედული ნაცნობები და ჩვენც საშუალება მოგვეცა ამაში საკუთარი თვალით დავრწმუნებულიყავით. ამ სტადიონზე საუკეთესო მინდორიაო — ისე ყველაფერი ავიხდეთ, მართლაც იყო. „ამერმა“ კრიზისი დასძლიაო — ამას უკვე ალლო გვკარნახობდა, წინა ტურში „გორდასთან“ სტუმრად ნათამაშევი 2:2-ის შემდეგ და ამის ყველა ნიშანიც ვიხილეთ. ერთი სიტყვით, ამ წერილში, ქართლის ცხოვრების ერთი მზიანი დღის კარგი განწყობა გვინდა გადმოგცეთ.

თამაში ორი განსხვავებული ტაიმისგან შედგებოდა. პირველში ორი გოლიც გავიდა და სახიფათო მომენტებიც იყო, ხოლო მეორეში უფრო ბრძოლა სჭარბობდა, საკუთარი პოზიციების გამაგრება და „მიწოლა“.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ხიფათი მე-2 წუთზევე მასპინძლებმა შექმნეს, თბილისელთა დაცვამ ცხინვალელებს მომენტი და კუთხური უბოძა, ხოლო ამ კუთხურს ისევ კუთხური მოჰყვა, „ამერის“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ შემცბარა და მე-5 წუთზე ანგარიშიც გახსნა: მასპინძელთა საჯარიმოში კუთხური დავით მჭედლიშვილმა ჩააწოდა, ბექა გოცირიძემ ბურთი კეფით შორეული ძელის მიმართულებით გადააგდო, იქ კი გეგი გარუჩავამ გამოიყენა თავისი შესაძლებლობა.

ბექა გოცირიძემ ამ დღეს კიდევ სამჯერ დაგვამახსოვრა თავი. ერთხელ მე-9 წუთზე, მეორედ 28-ზე, მესამედ კი 35-ზე. 35-ზე, სამწუხაროდ, კოჭსა და წვივში მეტოქის ფეხი მოხვდა და იძულებული შეიქნა მოედანი დაეტოვებინა. მე-9-ზე გოცირიძემ თავის მეკარის, ასლანაძის მოგერიებული ბურთი იხელთა, სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო და მამუკა რუსიას მწვავე პასი მიაწოდა. „ამერის“ სამწუხაროდ, მეკარე სერგო ქესანაშვილთან პირისპირ შესულმა რუსიამ მეორე გოლის გატანა და ამით ვინ იცის, რა შედეგის საბოლოო დამკვიდრება ვერ შეძლო — ქესანაშვილმა ბურთს ხელი წაჰკრა და კუთხურზე გადააგდო. რაც შეეხება 28-ე წუთს, აქ რუსიას შეტევა ქესანაშვილის შეცდომამ გაამწვავა, გოცირიძემ კი ბურთის სხარტად მოხელთება და კარში შეგდება ვერ შეძლო — სასურველზე უკან იდგა.

ამით სტუმრების შეტევები დასრულდა და დაიწყო „ცხინვალის ეპოქა“: „ამერის“ მომენტიდან ერთ წუთში თბილისელების დაცვამ და მეკარემ სიმტკიცე დაკარგეს და მასპინძელთა დარტყმის შემდეგ ბურთი ძელმა აისხლიტა. ეს იმით გაგრძელდა, რომ ცხინვალელებმა კვლავ სტუმრების საჯარიმოსთან იტრიალეს, მაღალი ბურთი ჩააწოდეს და პაატა გვირჯიშვილმა თავური დაარტყა, ოღონდ ააცილა.

ხოლო ტაიმის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე მასპინძლების ინტენსიურმა თამაშმა შედეგი გამოიღო — გიორგი რევაზიშვილმა მარჯვნიდან ჩააწოდა საჯარიმოში, სადაც ბურთი ხელთ თითქოს „ამერის“ მეკარე დავით ასლანაძეს უნდა ჩაეგდო, მაგრამ სტუმრების ცენტრალურ მცველს, გიორგი დავითნიძეს იღბალმა ზურგი აქცია, ბურთი ფეხში მოხვდა და მისი გუნდის კარში შევარდა.

შესვენების შემდეგ „ცხინვალმა“ თამაშს ინტენსივობა წამით არ დააკლო, ბოლომდე დაჟინებით ეძებდა გზებს „ამერის“ კარისკენ, თუმცა უშუალოდ საჯარიმოში პირველი ტაიმის მაგვარი მწვავე მომენტები აღარ შეუქმნია. ეს, ბუნებრივია, თბილისელების დაუღალავი „მუშაობის“ შედეგიც გახლდათ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 7 | 5 | 2 | 0 | 16:6 | 17 |
| სამგურალი | 7 | 5 | 2 | 0 | 11:3 | 17 |
| გორდა | 7 | 5 | 1 | 1 | 12:8 | 16 |
| ქობულეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 11:6 | 15 |
| ცხინვალი | 7 | 3 | 3 | 1 | 13:4 | 12 |
| დინამო 2 | 7 | 3 | 2 | 2 | 13:9 | 11 |
| თსუ | 7 | 3 | 1 | 3 | 9:7 | 10 |
| ვიტ ჯორჯია-მცხ. | 7 | 2 | 3 | 2 | 6:6 | 9 |
| მილანი | 7 | 2 | 2 | 3 | 3:4 | 8 |
| ივერია | 7 | 2 | 2 | 3 | 5:11 | 8 |
| გურია | 7 | 2 | 1 | 4 | 5:8 | 7 |
| ლუკა | 7 | 2 | 1 | 4 | 4:11 | 7 |
| ჩიხურა | 6 | 2 | 0 | 4 | 6:9 | 6 |
| ლოკომოტივი 2 | 7 | 2 | 0 | 5 | 4:10 | 6 |
| ამერი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | 5 |
| მეტალურგი | 7 | 0 | 0 | 7 | 2:16 | 0 |



თამაში ხეირიანად არც გახურებულიყო, გეგი გარუჩავამ (№12) „ამერი“ რომ დააწინაურა



ლევან სილაგაძე რამდენიმე დღეა ყაზანში დაბრუნდა. „რუბინის“ ქართველი მცველი განყვეტილ კუნთს თბილისში მკურნალობდა, ორიოდ დღის წინ კი ვარჯიშიც განაახლა. ლევანი მოედანზე დაბრუნებას უფრო ადრეც გეგმავდა, მაგრამ სარეაბილიტაციო პერიოდი ოდნავ გაიწელა და ეს საქმე სამომავლოდ გადაიდო. ახლა სილაგაძე ჯანზეა და ალბათ ბოლო ტურებში „რუბინსაც“ დაეხმარება.

გუშინ ლევან სილაგაძეს ყაზანში შევეხმიანეთ

# სილაგაძე ყაზანში ქუნქულით ჩავიდა

— ორიოდ დღეა, ვარჯიში დავიწყე. ყაზანში ორშაბათს დავბრუნდი და ახლა ინდივიდუალურად ვემზადები. ჯერჯერობით დატვირთვებს ვერიდები.

**— გუნდს როდის შეუერთდები?**

— ალბათ იმ კვირიდან ჩვეულად, სრული დატვირთვით ვივარჯიშებ. ყოველ შემთხვევაში, ტკივილებს ვერ ვგრძნობ და იმედია, მალე ვითამაშებ კიდეც.

**— ყაზანში ჩასვლა ცოტა დაგიგვიანდა...**

— ჰო, მაგრამ ამას არანაირი გართულება არ მოჰყოლია. კლუბის ხელმძღვანელობამ ყველაფერი იცოდა. ახლა მთავარია ფორმა სწრაფად აღვიდგინო. ძალიან მინდა ჩემპიონატის დამთავრებამდე თამაში კიდევ მოვასწრო.

**— „რუბინმა“ წინა ტურში მოულოდნელად „ზენიტთან“ წააგო შინ...**

— ეს უკვე არავის ახსოვს. ყველა მომავალ ტურზე ფიქრობს და მოსაგებად.

ბაჩა შალამბერიძე

### შვეიცარია

სუპერლიგა. XII ტური

აარაუ 3:1 სენტ გალენი
თუნი 1:1 სერვეტი
ვილი 2:1 გრასჰოპერი
ძსამაძსი 1:3 ბაზელი

### იტალია

თასის II ეტაპი. I მატჩი

ბრინდიზი 3:2 ბოლონია

### შვედეთი

თასის მეოთხედფინალი

იურგორდენი 1:1 (დ.დ. 2:1) აიკ

### ირლანდია

პრემიერლიგა. XXIV ტური

დერი სიტი 0:0 დროჰედა

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XXIII ტური

ჰიკ 0:0 ჰაკა
ინტერი 3:2 იოკერიტი
იარო 2:2 ჰაამენლინა
ჯაზი 2:2 მიუპა
კტპ 0:0 ტურკუ
ლაჰტი 2:1 კუოპიო

### გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა X ტური

აალენი 0:1 ელვერსბერგი

### ნორვეგია

თასის ნახევარფინალი

რუსენბორგი 2:1 სკეიდი


სამკურნალო გაერთიანება „ლიგა“

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- ნარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15



# ეს ფეხბურთელების უპატივცემულობაა

## არჩევანის უფლება ჩამოგვართვეს, პატარკაციშვილს არ შეგვახვედრეს

*„დინამოს" ფეხბურთელებს ჟურნალისტებთან საუბრის აკრძალვის ვადა დაუმთავრდათ. კლუბში მომხდარ და მიმდინარე პროცესების შესახებ ინტერვიუ „დინამოს" 26 წლის ნახევარმცველ ალეკო გოგობერიშვილს ვთხოვეთ.*

*...არც ჟურნალისტებისთვისაა იოლი, სულ ცხრიანში მოახვედროს ბურთი, მით უმეტეს მაშინ, როცა შიდა სამზარეულოს პრინციპები ძლიერია.*

*მოკლედ, „სარბიელის" კითხვებს დინამოელი გოგობერიშვილი პასუხობს*



„დინამოს" ბაზის კარიც გაიღო და ფეხბურთელებიც ალაპარაკდნენ

**— რა მოხდა „დინმოში"? რამ გამოიწვია დაპირისპირება კლუბის ხელმძღვანელობასა და ფეხბურთელებს შორის?**

— მოხდა ის, რასაც არ ველოდით — რაც სეზონი დაიწყო, პრემია არ აგვიღია, თან პრემია შეგვიმცირეს და არც იმას არ გვაძლევენ. ვფიქრობ, თბილისის „დინამოში" ასეთი დაბალი პრემია არ უნდა იყოს. თანაც ყველაფერი ეს მაშინ გაკეთდა, როცა სეზონი დაწყებული იყო — ფეხბურთელებს, ფაქტობრივად, არჩევანის უფლება ჩამოგვართვეს. „დინამოში" ძირითადად ამის გამო მოხდა სკანდალი, მაგრამ ჩვენ პროფესიონალიზმს არ ვუღალატეთ და სათამაშოდ კვლავაც გავდივართ.

**— სანამ სკანდალი ატყდებოდა, მანამდე რას გეუბნებოდნენ კლუბის ხელმძღვანელები, რატომ აღარ გაძლევთ პრემიასო?**

— ჯერ ვერავინ ვერაფერს გვეუბნებოდა, მაგრამ მე-8 ტურში „სიონთან" ნათამაშევი 0:0-ის მერე, კლუბის მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა ყველაფერი მოგვახსენა.

**— ფეხბურთელების რეაქცია როგორი იყო?**

— რა თქმა უნდა, ცუდი. უკმაყოფილონი ვიყავით და ახლაც ასეა. მაგრამ თამაშს თავს ხომ არ დავანებებთ? „დინამოს" პრესტიჟის დაცვა გვმართებს.

**— კლუბის ხელმძღვანელობამ თავისი გადაწყვეტილებების მიზეზად რა დაასახელა?**

— ვერაფერი, მიზეზი არ უთქვამთ.

**— როგორ ფიქრობ, „დინამოს" მესვეურებმა ეს ნაბიჯი „ტირანასთან" მარცხის გამო გადადგეს?**

— ერთი თამაშით ხომ არ უნდა გადაწყდეს ასეთი საკითხები. წინა სეზონში ჩვენ დასახულ მიზანს მივაღწიეთ — ჩემპიონატი და თასი მოვიგეთ. მაგრამ ეს ყველაფერი ხელმძღვანელობას, როგორც ჩანს, დაავიწყდა.

**— წინა სეზონის ბოლოს ხომ სოლიდური პრემია აიღეთ...**

— ჩვენ არაფერი არ მოგვითხოვია — რასაც სეზონის წინ შეგვპირდნენ, ის მოგვცეს, რითაც ძალიან კმაყოფილნი დავრჩით. მაგრამ რაც მათ მერე გააკეთეს, ეს ფეხბურთელების უპატივცემულობაა და მეტი არაფერი.

**— „დინამოს" უფროსობამ 21 დისკვალიფიცირებული ფეხბურთელის სია შეადგინა და „მცხეთასთან" „დინამო 2"-ით აპირებდა თამაშს. პეტრიაშვილმა „სარბიელთან" ინტერვიუში თქვა, პრობლემების მიზეზი ფეხბურთელთა მხრიდან დისპიცლინის დარღვევა იყოო...**

— „მცხეთასთან" თამაშის წინ მართლაც დაძაბული სიტუაცია, ცუდი განწყობა იყო. მატჩის წინა ორი დღე არცკი გვივარჯიშია — პეტრიაშვილმა აგვიკრძალა ვარჯიში, დისკვალიფიცირებულები ხართო. საერთოდ, სად გაგონილა, რომ 21 ფეხბურთელს დისციპლინა დაერღვიოს და მერე ისინი დისკვალიფიკაციით დაესაჯათ?

**— გასაგებია, მაგრამ რაღაც კონკრეტული მიზეზი ხომ მართლა არსებობს?**

— კლუბის ფინანსისტმა გიგა ბედინეიშვილმა გვითხრა, ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ პროფესიული, რენტაბელური კლუბი უნდა შევქმნათო.

**— „მცხეთასთან" თამაშზე მაინც გახვედით — როგორ მიაღწიეთ კომპრომისს?**

— ისევ ჩვენ, ფეხბურთელებმა დავთმეთ — დისკვალიფიკაციას ფეხბურთის თამაში ვამჯობინეთ. პეტრიაშვილმა კი გვითხრა, პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ გუნდიდან წასვლაში პრობლემებს არ შეგიქმნითო. თუმც გათავისუფლების ფურცელს არავინ გვაჩუქებს.

**— ვინ მართავს „დინამოს"? ვინ შეიმუშავა პრემიების ახლებური სისტემა?**

— რამდენადაც მე ვიცი, ყველაფერი პეტრიაშვილის ხელშია და მან დაადგინა პრემიების ახლებური სისტემაც — პრემია, რომელიც ჯერ არ აგვიღია, მოგებულ თამაშზე ასი დოლარია. თანაც ამ თანხას მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიღებთ, თუ პირველ ადგილზე ვიქნებით.

**— ივო შუშაკს რა პოზიცია უკავია ყველაფერ ამასთან დაკავშირებით?**

— შუშაკი მომხდარით გაოგნებული იყო. მას სურდა, პრემიალური სისტემა უცვლელი ყოფილიყო. შუშაკმა დაგვამშვიდა, საკუთარი თავი ხელში აიყვანეო, საჩემპიონო და სათასო ამბიციები არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავკარგოთო.

**— ფეხბურთელებს კლუბის მეპატრონესთან და პრეზიდენტთან, ბადრი პატარკაციშვილთან შეხვედრა არ გიცდიათ?**

— ჩვენ ძალიან გვინდოდა პატარკაციშვილთან შეხვედრა, თუმც არ მოხერხდა — ჩვენი სურვილის შესახებ კლუბის დირექტორატს ვაცნობეთ, მაგრამ პატარკაციშვილთან არ შეგვახვედრეს.

**— რა შეგიძლია უთხრა გუნდის გულშემატკივრებს?**

— ბოლომდე გვერდით დაგვიდექით. ეს თბილისის „დინამოა" და რაც უნდა მოხდეს, ფეხბურთელმა მაინც უნდა ითამაშოს — გულშემატკივარს მხოლოდ შედეგი და კარგი თამაში აინტერესებს.

**დავით თავართქილაძე**

---

*მეთხუთმეტე ეროვნული ჩემპიონატი გორის „დილასთვის" ალბათ ყველაზე წარმატებული იქნება. აქამდე გორელებისთვის საუკეთესო შედეგი მეშვიდე ადგილი იყო, წლეულს კი სამეულს გაუშინაურდნენ ქართლელები.*

*გორში ფეხბურთმა ხალხიც გამოაღვიძა. „თენგიზ ბურჯანაძეზე" თითქმის ყველა თამაშს სამი ათასამდე ქომაგი ესწრება. კლუბის ხელმძღვანელობა „დილას" თამაშით კმაყოფილია და უკან დახევას არ აპირებს. ეს ჯერ კიდევ არაფერია, უფრო მეტი შეგვიძლიაო, გვითხრა „დილას" პრეზიდენტმა გელა ჩხეიძემ*



# ჩხეიძემ დინამოს პრეზიდენტი გამოიწვია

## დილა ნარკობიზნესის წინააღმდეგ

**— ბატონო გელა, „დილაში" მოსვლამდე რა „ურთიერთობა" გქონდათ ფეხბურთთან?**

— მხოლოდ გულშემატკივარი ვიყავი. 1999 წლამდე მე და ფეხბურთი შორიდან ვიცნობდით ერთმანეთს. მერე კი გორში ბავშვთა ჯგუფები შევქმენით და მათ ვეხმარებოდი. თუმცა ეს მხოლოდ სპონსორობა იყო. მე დ ჩემი მეგობრები ყველანაირად ვცდილობდით, პატარებისთვის კარგი პირობები შეგვექმნა. ამ კლუბს „გაზაფხული" ერქვა.

**— დიდ ფეხბურთში როგორ მოხვედით?**

— „დილას" ვიცე-პრეზიდენტი ალეკო მიხანაშვილი ჩემი დეიდაშვილია. მაშინ გუნდს ძალიან უჭირდა, ფული საერთოდ არ იყო და ფეხბურთელებსაც თვალი გაქცევაზე ეჭირათ. ის სეზონი კატასტროფული გამოდგა — „დილა" უმაღლესი ლიგიდან გავარდა. უბრალოდ, მე სხვა გზა არ მქონდა. გორელი კაცი ვარ და კლუბს დახმარებას ვერ დავამალიდი. ერთი სიტყვით, გადავწყვიტე, ჩემს პარტნიორებთან ერთად „დილას" დავხმარებოდი. პრეზიდენტობა ცხონებულ თენგიზ ბურჯანაძეს შევთავაზეთ, მაგრამ მან მე ამირჩია. მხარი ყველამ დამიჭირა და 2001 წლიდან „დილას" პრეზიდენტი ვარ.

**— მას შემდეგ ორი წელი გავიდა. ელოდით „დილას" ასეთ წინსვლას?**

— ყველაფერი მართლაც კარგად წავიდა. უმაღლესშიც დავბრუნდით და აგერ, ახლა მესამე ადგილზე ვართ. ამ სეზონში ექვსეულში მოხვედრა დავისახეთ მიზნად. მომავალ სეზონში კი უფრო დიდ წარმატებებზეც ვიფიქრებთ.

**— დიდ წარმატებაში რას გულისხმობთ?**

— მომავალ სეზონში ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ. ადრე ეს რომ ვთქვი, ყველამ ბადრი პატარკაციშვილის სახელი მომახალა, მაგრამ როგორც ვიცი, პატარკაციშვილი ფეხბურთს თავად არ თამაშობს. ისე, თუ სურვილი ექნება, სიამოვნებით გავეჯიბრები.

**— თამამი განცხადებაა...**

— ვიცი. ჩვენ სამწლიანი გეგმა გვაქვს. ორი წელი ყველაფერი საჩვენოდაა. ამას მაშინაც ვერავინ წარმოიდგენდა, უმაღლესი ლიგიდან რომ გავვარდით. ძალიან მიხარია ისიც, რომ „დილას" კარგი მწვრთნელი შევურჩიე. ზურაბ ხორგუაშვილი ჩემი დაჟინებული თხოვნით ჩაუდგა გუნდს სათავეში.

**— „დილას" გარდა საფეხბურთო სკოლასაც პატრონობთ...**

— თბილისში არ ვიცი და საქართველოს სხვა რეგიონებში ალბათ ჩვენნაირი საფეხბურთო სკოლა არსად არის. მალე ყველა სამუშაო დასრულდება და სკოლა-ინტერნატიც გაიხსნება. ბავშვებს ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ ექნებათ.

**— ფეხბურთში ჩადებულ ფულს წლების შემდეგ თუ „ამოიღებ"...**

— შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ მე ეგ არ მაინტერესებს. ჩემთან ერთად „დილას" კიდევ ოცი კაცი პატრონობს. ისინი ჩემი მეგობრები არიან და დაწყებულ საქმეს არ მიატოვებენ. მე კი სანამ „დილას" პრეზიდენტი ვარ, აქედან ვერსად წავალ. დანარჩენი მერე გამოჩნდება. ჩვენ უფრო ენთუზიასტები გვქვია. ვიცით, რას ვაკეთებთ. შვილებს ქუჩაში ვერ დავტოვებთ. თან გორი ოსეთსა და საქართველოს შორის ხიდია. აქ ცხინვალიდან ნარკოტიკების შემოტანა ურთულესი პრობლემა სულაც არაა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ნარკობიზნესს ფეხბურთმაც უნდა შეუშალოს ხელი. ბავშვები ქუჩიდან ფეხბურთში უნდა მივიყვანოთ. სხვაგვარად ჩვენი შვილები დაიღუპებიან. ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ მერე თავაწეულებმა ვიაროთ.

**— გორის სტადიონზე ხალხი უკვე მრავლად დადის...**

— გამოცოცხლება ნაღდად შეინიშნება. თან ბილეთებს არ ვყიდით. თავიდან თითქოს ვცადეთ ბილეთების გაყიდვა, მაგრამ მალევე გადავიფიქრეთ. ჯერ პირობები არაა. მალე სტადიონსაც გავაკეთებთ და მერე ამასაც მოვუვლით. გაისად ალბათ დავიწყებთ სტადიონის რეკონსტრუქციას.

**— მომავალ სეზონში დიდ მიზნებს ისახავთ. ალბათ, შემადგენლობის გაძლიერებაზეც იფიქრებთ...**

— რა თქმა უნდა. სხვაგვარად არაფერი გამოგვივა. ახალ ფეხბურთელებს აუცილებლად დავიმატებთ. დიდი შანსია, ლეგიონერებიც ჩამოვიყვანოთ. სხვათა შორის, ამაზე ლაპარაკი უკვე გვქონდა. რამდენიმე შავკანიან ფეხბურთელსაცველაპარაკეთ ტელეფონით, მაგრამ მათთვის წარმოუდგენელი იყო საფეხბურთო გორი. სამაგიეროდ, ახლა ბევრი გაგვიცნობს.

**კახა შალამბერიძე**

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 9-10 ტური



მცხეთელთა გოლებმა ეროვნულ ჩემპიონატს სენსაციები უმრავლა

# ეს ლვეზელი ცხარეა და ნოყიერი

## გუცაევის ნაციონალური მოძრაობა მცხეთის ძლიერებისთვის

„დინამო" და „ტორპედო" აქამდე ერთ გუნდს ზედიზედ არ დაუმარცხებია. რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ასეთი რამ პატარა „მცხეთამ" ჩაიდინა. მიჯრით მიწყობილი მეცხრე-მეათე ტურის მშვენება და ყველაზე დიდი ამრევი სწორედ ვლადიმერ გუცაევის დებიუტანტი მცხეთელები არიან.

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 8 - ახალაია | დინამო |
| 6 - დავითაშვილი | თბილისი |
| 5 - გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| მელქაძე | დინამო |
| ა. ქაიდარაშვილი | დილა |
| გოჩჩაროვი | სიონი |
| 4 - დარასელია | დინამო |
| კაკალაძე | ბათუმი |
| 3 - სულხანიშვილი | დილა |
| მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| სირაძე | ლოკომოტივი |
| ძიძუაშვილი | დილა |
| ბობოხიძე | დინამო |
| ხოვერიძე | ლოკომოტივი |
| ბაბისკირია | სიონი |
| მიქაძე | ლოკომოტივი |
| ვ. გოჩაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| ახალკაცი | ტორპედო |

„ცხარე ლვეზელებმა" მართლაც საოცარი ამბები დაატრიალეს. ორივე მატჩში „მცხეთა", ერთი შეხედვით, განწირული ჩანდა, მაგრამ ორივეჯერ მის სასარგებლოდ დატრიალდა საქმე. მცხეთელთა აღზევებას ბევრი გამწვრთნელებულ პრეზიდენტ ვლადიმერ გუცაევს უკავშირებს. დეპუტატობის მოსურნე ნაციონალისტი გუცაევი ავტორიტეტია ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის და ეგებ, შემატა კიდეც გუნდის თამაშს ბევრი საფეხბურთო რამ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩემპიონებთან და ვიცე-ჩემპიონებთან ჭიდილში ახალგაზრდა მცხეთელებმა დიდი ჟინი, თავდადება და საზრიანობა გამოაჩინეს. სწორედ ამ გარემოებებით უფრო შემუსრეს სახელოვანი მეტოქეები. „დინამოსთან" „ლვეზელები" თირქას ჯადო გოლით დაწინაურდნენ — მცხეთელმა მოხდენილად გაისროლა ბალახზე მოხტუნავე ბურთი 25 მეტრიდან. შუშაკელები გოლამდეც და შემდეგაც ბევრს უტევდნენ, მომენტებიც მრავლად შექმნეს, მაგრამ გატანა ისევ მასპინძლებმა შეძლეს — თითქოსდა პრობლემებმოტოვებული „დინამო" რაქვიაშვილმა მიაწყნარა მატჩის დამთავრებამდე ექვსიოდე წუთით ადრე. ამ სენსაციური გამარჯვებიდან გადის ოთხიოდ დღე და „ცხარე ლვეზელები" ვიცე-ჩემპიონ „ტორპედოს" წამლავენ. „დინამოსთან" მოგებას ესენი ჩემპიონატის ბოლომდე ვერ დაივიწყებენ, სადაა ქუთაისში მაგათი „საგულაოო" — ამბობდნენ მატჩის წინ რიონისპირელები და რა იცოდნენ, კაი „ნაგულავებს" რომ გაუშვებდნენ მეტოქეს. მცხეთელებმა ანგარიშიც გახსნეს „ტორპედოზე" და გამთანაბრებელ მეტოქეს გამარჯვებისაც გაუტანეს. მოკლედ, ალალად და დამსახურებლად გაიმარჯვეს. „მცხეთაზე" ერთიც ვთქვათ და მოვრჩეთ — „დინამოსა" და „ტორპედოს" გარდა დებიუტანტებს ჩემპიონატის კიდევ ერთი ფავორიტი — „ლოკომოტივი" ჰყავთ მოხრჩობილი მეორე ტურში. ამაზე იტყვიან, ავტორიტეტთა რისხვააო.

მეცხრე-მეათე ტურები განსაკუთრებით ორმა გუნდმა ჩააფლავა. მხოლოდ „მერცხალმა" და „ტორპედომ" ვერ შეძლეს თუნდაც ქულის მოპოვება. თუკი ოზურგეთელთა ამბიციები ზედიზედ ორ მარცხს აიტანს, „ტორპედო" მართლაც რომ შერცხვენილია. უგემურ ლვეზელამდე რიონისპირელებისთვის ქვემოქართლური ალიყური იყო — მეცხრე ტურში გელა კიკალეიშვილის გუნდმა ბოლნისში წააგო „სიონთან", თანაც ისე, რომ მეტოქეს ხეირიანი ვერაფერი ჰკადრა. შედეგად ბოლო წლებისთვის იშვიათი ვითარებაა — „ტორპედოს" მოგებების რაოდენობა წაგებული მატჩებისას არ აღემატება და თანაც ქუთაისელთა საექვსეულო შანსიც საეჭვოა, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ გელა კიკალეიშვილის გუნდს ურთულესი მატჩი ელის კვირას გორში მესამეადგილოსან „დილასთან".

გორელებს სალიდერო ჯახი ჰქონდათ ოთხშაბათს „დინამოსთან". გამართლდა ქართლელთა თავკაცის, ზურაბ ხორგუაშვილის ვარაუდი — მერჩივნა „მცხეთასთან" მოეგო „დინამოს", რადგან ახლა ჩვენ წინააღმდეგ დაჭრილი მხეცივით ითამაშებსო.

მხეცური ჟინისა „დინამოს" არაფერი ეტყობოდა, მაგრამ შუშაკელებმა მაინც იმარჯვეს — დაცვაში ჩაკეტილი „დილა" 54-ე წუთზე დარასელიას შორეულმა გასროლილმა დაამსხვრია, საჯინიბო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე ... მაც გაიტანა და „დინამო" ათი ტურის შემდეგ ქულითღა ჩამორჩება ლიდერ „ვიტ ჯორჯიას", რომელიც პარასკევს ერთობ იღბლიანი იყო „მერცხალთან" ოზურგეთულ მატჩში, სამშაბათს კი მოღლილი და ნაჯაფი „თბილისთან" საზიარო „შევარდენის" სარბიელზე.

ოზურგეთში ზურაბ ბერიძის შეგირდებმა დამატებულ წუთებში გაიტანეს გამარჯვების გოლი და სამშაბათს ერთობ მოტივირებულნი დაუხვდნენ „თბილისს", თუმცა ვიტელთა მონდომებიდან არაფერი გამოვიდა, მეტიც, პირობითად სტუმრები უფრო ყოჩაღობდნენ და ბოლოს უგოლო ფრე გამოცხვა.

წარუმატებელი გამოდგა პოლონეთიდან დაბრუნებული ლაშა რეხვიაშვილის დებიუტი — მისი „ლოკომოტივი" ძმობილ „სპარტაკთან" მართლაც უსულგულოდ დადიოდა მოედანზე და მოულოდნელი ფრე გამოვიდა — 1:1. არველაძის გუნდი გაცილებით შედეგიანად გაისარჯა ოთხშაბათს „მერცხალთან" და სამი ქულაც მოიმკო — 1:0-მა რეალურად ვერ ასახა რკინიგზელთა დიდი უპირატესობა. ამ გამარჯვებით „ლოკომოტივმა" „ტორპედო" მოიტოვა და დარჩენილ ტურებში საექვსეულო პოზიციების გამყარებას შეეცდება.

**პაატა ძვანტალიანი**





ვლადიმერ გუცაევმა გელა კიკალეიშვილს სამაგალითო გაკვეთილი ჩაუტარა



„ლოკომოტივი" — „მერცხალი": დავით სირაძის გუნდი მეტოქეზე მაღლა დადგა




| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ვიტ ჯორჯია | 10 | 6 | 3 | 1 | 17:5 | 12 | 21 | 6 | 4 | 2 | 0 | 14:2 | 12 | 14 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 7 |
| 2 | დინამო | 10 | 6 | 2 | 2 | 25:5 | 20 | 20 | 6 | 4 | 2 | 0 | 19:1 | 18 | 14 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 2 | 6 |
| 3 | დილა | 10 | 6 | 1 | 3 | 15:8 | 7 | 19 | 4 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 7 | 12 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:6 | 0 | 7 |
| 4 | სიონი | 10 | 5 | 4 | 1 | 12:6 | 6 | 19 | 4 | 4 | 0 | 0 | 8:1 | 7 | 12 | 6 | 1 | 4 | 1 | 4:5 | -1 | 7 |
| 5 | ლოკომოტივი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:11 | 2 | 15 | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | 3 | 11 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 4 |
| 6 | ტორპედო | 10 | 4 | 2 | 4 | 9:9 | 0 | 14 | 6 | 4 | 1 | 1 | 9:4 | 5 | 13 | 4 | 0 | 1 | 3 | 0:5 | -5 | 1 |
| 7 | მცხეთა | 10 | 4 | 1 | 5 | 11:19 | -8 | 13 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 3 | 9 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:15 | -11 | 4 |
| 8 | თბილისი | 10 | 3 | 2 | 5 | 11:14 | -3 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:6 | -2 | 7 | 6 | 1 | 1 | 4 | 7:8 | -1 | 4 |
| 9 | კოლხეთი | 10 | 3 | 2 | 5 | 8:11 | -3 | 11 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 0 | 8 | 4 | 1 | 0 | 3 | 1:4 | -3 | 3 |
| 10 | ბათუმი | 10 | 3 | 1 | 6 | 8:13 | -5 | 10 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 0 | 6 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:9 | -5 | 4 |
| 11 | მერცხალი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:20 | -11 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | -1 | 5 | 5 | 1 | 0 | 4 | 6:16 | -10 | 3 |
| 12 | სპარტაკი | 10 | 1 | 3 | 6 | 4:21 | -17 | 6 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | -6 | 4 | 5 | 0 | 2 | 3 | 1:12 | -11 | 2 |



*კარლუშ კეირუშს „რეალში“ მწვრთნელობის 100 დღე შეუსრულდა. პორტუგალიელის „იმპერია“ ჯერჯერობით მყარად დგას და სეუ კარლუშიც ხელებდაკაპიწებული განაგრძობს მუშაობას. სამეფო გუნდის იუბილარ თავკაცს ესპანური „მარკა“ ჟურნალისტები ესაუბრა*

# კეირუშის 100 დღე

## პორტუგალიელი რეალს ზებუნებრივი ძალებისგან იცავს

**— როგორია თქვენი პირველი 100 დღის მონაგარი?**

— ვფიქრობ, საერთო ჯამში საქმე დადებითად მიდის. უკვე ყველამ იცის, ჩემს გუნდს ძალთა მთლიანი მობილიზაციის დროს რაოდენ ჩაუქად შეუძლია ბურთაობა. თუმცა მსოფლიომ „რეალის“ „ვალენსიასთან“ დამარცხებაც იხილა. ეს შემდგომ მატჩებში ჩვენთვის გამაფრთხილებელ ნიშნად იქცევა, რათა „მესტალიაზე“ დაშვებული შეცდომები აღარ გავიმეოროთ.

**— როდესაც კლუბის თავკაცობამ თქვენთან თანამშრომლობა გადაწყვიტა, ბევრი ამბობდა, რომ „რეალის“ მწვრთნელობა ძალიან გაგიჭირდებოდათ...**

— ნებისმიერ მწვრთნელს თავისი კრიტიკოსი უნდა ჰყავდეს, სხვანაირად ფეხბურთი ვერ წარმომიდგენია. ახლაც მშვიდად ვისმენ შენიშვნებს და თუ რომელიმე მათგანი მართებულია, აუცილებლად ვითვალისწინებ. თქვენ წარმოიდგინეთ, გულშემატკივართა ბეჯითი მეთვალყურეობა უფრო მაფხიზლებს და საბრძოლოდ განმაწყობს, ვიდრე მაბრაზებს. მადრიდის „რეალის“ მწვრთნელი აუცილებლად ემოციურად გაწონასწორებული უნდა იყოს. ყოველი მოვლენა რაციონალურად უნდა შეაფასო, აქ გრძნობათა აფეთქება და პირადული სიმპათიის დემონსტრაცია ნამდვილად არ არის საჭირო.

**— „რეალი“ ისეთი გამოდგა, როგორიც თქვენ წარმოგედგინათ?**

— „რეალი“ დიდი გუნდია, ყველაზე დიდი იმათ შორის, რაც ამ ქვეყნად არსებობს. აქ მოსვლისას არაფერს გავუკვირვებივარ, რადგან წინასწარ ვიცოდი, ვისთან მომიწევდა მუშაობა. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ბიჭების სიძლიერე მათი უბრალო ხასიათიდან გამომდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ დიდი სახელი მოიხვეჭეს, შინაგანად არ შეცვლილან, ზუსტად იციან — ჯერ პიროვნებაა მთავარი და მერე ფეხბურთი. ჩემი აზრით, ეს ნაღდი პროფესიონალიზმია.

**— რომელი ფეხბურთელი იქცევს ყველაზე მეტად თქვენს ყურადღებას?**

— მხოლოდ ერთს ვერ გამოვარჩევ. ყოველ ვარჯიშსა თუ მატჩზე მათში ახალ-ახალ თვისებებს აღმოვაჩენ ხოლმე. ხანდახან ზოგიერთი ერთ თამაშში ძალიან ძლიერია, სხვა დროს კი ხშირად ცდება. ვაღიარებ, რომ ამ გუნდის ბოლომდე ამოცნობა შეუძლებელია. ჩემი ძირითადი მოთხოვნაა, ყველა შეხვედრაში ისინი „რეალის“ ღირსებისთვის თავგამოდებულ მებრძოლად ვიხილო. ეს არის და ეს.

**— კლოდ მაკელელეს „ჯანყი“ თქვენი კასტილიური კარიერის ურთულესი ეპიზოდი იყო?**

— არა. ამ საქმესთან დაკავშირებული დეტალები სალი გონებით შევაფასე და წუწუნზეც დრო არ დამიკარგავს. ახლა კი ეს უკვე განვლილი ამბავია, რაზეც კომენტარების გაკეთება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

**— რას მოკვეთდით სამეფო გუნდიდან?**

მხოლოდ ერთ სიტყვას, ან გნებავთ სახელწოდებას, რამაც საკმაოდ დიდი ზიანი მოგვაყენა.

**— რას გულისხმობთ?**

— ეგრეთ წოდებულ „გალაქტიკურ გუნდზე“ მოგახსენებთ. არ მოგვწონს ეს ვარსკვლავური ეიფორია მე და ჩემს ფეხბურთელებს. ჩვეულებრივი ადამიანები ვართ, რაიმე ზებუნებრივი ძალა არ გაგვაჩნია და არც ჩვენი მოგებაა წარმოუდგენელი. ჩემი ნება რომ იყოს, ამ გამაღიზიანებელ და არაფრისმთქმელ ტიტულს დღესვე გავაუქმებდი.

**— სათადარიგო ფეხბურთელებს თუ ერგებათ ძირითადში თამაშის ხშირი სიამოვნება?**

— ყოველნაირად ვეცდები, მათი ძალა „რეალის“ სასარგებლოდ მაქსიმალურად გამოვიყენო.

**— ხომ არ გწყინთ, როდესაც დელ ბოსკეს გადარებენ? ყოფილი დამრიგებლის ჩრდილი ახალზე საზიანოდ ხომ არ მოქმედებს?**

— ჩემთვის დიდი პატივია დელ ბოსკესთან შედარება. მიხარია, გულშემატკივარი ვისენტეს რომ არ ივიწყებს. თუკი ვინმე კარგს შეგადარებენ, რატომ უნდა გეწყინოს? მე კი, რაც შემიძლია, იმას გავაკეთებ — გულით ვეცდები, გულშემატკივართა ნდობა და იმედები არ გავაწბილო.

**— პრეზიდენტ პერესთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

— ბრწყინვალე. საერთო საქმისთვის ვიღწვით და ჩვენ შორის უნდობლობის ნატამალიც არ არის.

**— ინჩასები თქვენგან რას ითხოვენ?**

— თუკი რამე საფეხბურთო ჯილდო არსებობს მსოფლიოში, ყველაფრის მოგებას. ეს მე დამატებით პასუხისმგებლობას მმატებს, რადგან ვიცი, რას ნიშნავს კასტილიელებისთვის მათი სათაყვანო მადრიდის „რეალი“.

# შენი მრთგული ვარ, ჩემო ქალბატონო!

## იუვენტუსმა დელ პიერო სიბერემდე დაიტოვა

**1993 წელს** იტალიის საუკეთესო გუნდის, ტურინის „იუვენტუსის“ მაშინდელმა ხელმძღვანელობამ (ჯოვანი ტრაპატონის თამადობით, „პადოვას“ ერთ ფეხბურთელს დაადგა თვალი. იგი ალესანდრო დელ პიერო გახლდათ. ეს უკანასკნელი „ბებერმა ქალბატონმა“ იმავე წელს გადაიბირა, მაგრამ ნიჭიერ მოთამაშეს კარგა ხნით სათადარიგოთა სკამზე უწინასწარმეტყველებდნენ ჯდომას, „იუვეში“ ხომ იმ დროს რობერტო ბაჯო ბრწყინავდა. თუმცა ერთ დღეს დელ პიეროს შანსი მიეცა და მან თავი მშვენივრად წარმოაჩინა. იქიდან მოყოლებული ნელ-ნელა დამკვიდრდა ტურინელთა ძირითად შემადგენლობაში და ტიფოზების უსაყვარლეს ფეხბურთელად იქცა, ხოლო ცოტა მოგვიანებით „იუვეს“ კაპიტნის სამკლავურიც მოირგო. საკმაოდ დიდი დროის მანძილზე დელ პიეროც ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელიც იყო და ამ მხრივ ახლაც ერთ-ერთი ლიდერია.

მისი წარმატებული კარიერა დიდი ხნით შეაყოვნა „უდინეზესთან“ მიღებულმა ტრავმამ (ორ ადგილას მოიტეხა ფეხი), რის გამოც დელ პიეროს დაახლოებით ორი წელი გაუცდა და ჩვეული ფორმის დაბრუნებასაც საკმაო დრო მოანდომა.

ხშირად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მისით მადრიდის „რეალი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და სხვა ბობოლა კლუბები იყვნენ დაინტერესებულნი. ეს ხმები ბოლო დროსაც აგორდა, რადგან დელ პიერო მოქმედი კონტრაქტით უკანასკნელ სეზონს ატარებდა ტურინელთა რიგებში, მაგრამ ძნელი სავარაუდო იყო, რომ „იუვენტუსის“ სიმბოლო გუნდს დატოვებდა და საბოლოოდ ყველაფერი ლოგიკურად დამთავრდა. „ბებერმა ქალბატონმა“ თავის კაპიტანთან ახალი კონტრაქტი გააფორმა.

გეხსომებათ, დელ პიერო ამჟამადაც ტრავმირებულია და დაახლოებით ერთ თვეს ვერ ითამაშებს, თუმც ეს პაუზა ტურინელებმა მშვენივრად გამოიყენეს და ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმეს მასთან. დელ პიერო 2008 წლამდე დარჩება ტურინში და ალბათ კარიერას იქვე დაასრულებს (2008 წელს იგი 34 წლის იქნება). „იუვეს“ კაპიტანი წელიწადში 5,7 მილიონ ევროს მიიღებს, საიდანაც 1,6 მილიონ ევროს „ბებერი ქალბატონი“ მისი იმიჯის (რეკლამებში და სხვა) გამოყენებისთვის გადაიხდის.



**გიორგი ქაქაბაძე**

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი. XI ტური

**ბრედფორდი 1:2 დერბი ქაუნთი**
0:1 ლ. მორისი (45), 1:1 გრეი (59), 1:2 ლ. მორისი (79)

**კარდიფი 0:0 უიგანი**

**ნორვიჩი 2:1 რედინგი**
1:0 მაკერნი (17), 1:1 ფორსტერი (25), 2:1 მაკვეიგი (87)

**როტერჰემი 3:0 სტოკი**
1:0 ბიფილდი (45), 2:0, 3:0 ბატლერი (51, 90)

**უოტფორდი 1:1 ბარნლი**
1:0 ფიცჯერალდი (45), 1:1 ჩედვიკი (54)

**ვესტ ბრომვიჩი 2:1 მილუოლი**
1:0 კუმასი (5), 2:0 დობი (24), 2:1 ნიტერკოტი (45)

**უიმბლდონი 1:2 შეფილდ იუნ.**
1:0 ნოულენდი (49), 1:1 უორდი (62), 1:2 პეშისოლიდო (68)

**უოლსოლი 2:1 ჯილინგემი**
1:0 მატიასი (35), 1:1 ჯ. ბრაუნი (48პ), 2:1 ჰესენტალერი (84)

**სანდერლენდი 3:2 იფსვიჩი**
0:1 დ. ბენტი (36), 1:1 ბრინი (44), 2:1 ოსტერი (49), 2:2 ნეილორი (51), 3:2 კაილი (85)

**ქოვენთრი 2:0 ქრიუ**
1:0 მაკალისტერი (49), 2:0 მორელი (73)

**ნოტინგემი 0:1 პრესტონი**
0:1 ებოტი (36)

**ვესტ ჰემი 3:0 კრისტალ პალასი**
1:0 დეფო (19), 2:0, 3:0 მელორი (32, 56)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეფილდი | 10 | 7 | 2 | 1 | 20:10 | 23 |
| ვესტ ბრომვიჩი | 10 | 7 | 1 | 2 | 17:10 | 22 |
| უიგანი | 10 | 6 | 3 | 1 | 14:6 | 21 |
| ვესტ ჰემი | 10 | 6 | 2 | 2 | 13:6 | 20 |
| ნორვიჩი | 10 | 6 | 2 | 2 | 16:11 | 20 |
| სანდერლენდი | 10 | 6 | 1 | 3 | 17:10 | 19 |
| ნოტინგემი | 10 | 5 | 1 | 4 | 16:12 | 16 |
| მილუოლი | 11 | 4 | 4 | 3 | 15:13 | 16 |
| კარდიფი | 10 | 4 | 3 | 3 | 19:12 | 15 |
| რედინგი | 10 | 4 | 2 | 4 | 14:11 | 14 |
| ბარნლი | 11 | 4 | 2 | 5 | 16:18 | 14 |
| პრესტონი | 10 | 4 | 1 | 5 | 14:13 | 13 |
| ქრიუ | 10 | 4 | 1 | 5 | 9:14 | 13 |
| ჯილინგემი | 11 | 3 | 4 | 4 | 12:18 | 13 |
| უოლსოლი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:11 | 12 |
| ქოვენთრი | 9 | 3 | 3 | 3 | 14:14 | 12 |
| სტოკი | 11 | 3 | 3 | 5 | 13:15 | 12 |
| დერბი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:16 | 12 |
| იფსვიჩი | 10 | 3 | 2 | 5 | 14:16 | 11 |
| კრ. პალასი | 10 | 3 | 2 | 5 | 13:16 | 11 |
| ბრედფორდი | 10 | 3 | 1 | 6 | 9:17 | 10 |
| როტერჰემი | 10 | 2 | 3 | 5 | 6:17 | 9 |
| უოტფორდი | 9 | 1 | 2 | 6 | 9:14 | 5 |
| უიმბლდონი | 10 | 1 | 1 | 8 | 13:26 | 4 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა. VIII ტური

**შტურმი 2:1 გრაცერი**

**კერნტენი 2:0 ადმირა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 11 | 8 | 2 | 1 | 23:13 | 26 |
| აუსტრია | 11 | 6 | 4 | 1 | 20:7 | 22 |
| გრაცერი | 11 | 5 | 2 | 4 | 18:16 | 17 |
| ბრეგენცი | 11 | 5 | 2 | 4 | 16:17 | 17 |
| მატერსბურგი | 11 | 4 | 4 | 3 | 15:16 | 16 |
| ადმირა | 11 | 3 | 3 | 5 | 15:12 | 12 |
| პაშინგი | 11 | 3 | 2 | 6 | 15:22 | 11 |
| კერნტენი | 11 | 2 | 5 | 4 | 9:19 | 11 |
| ზალცბურგი | 11 | 3 | 1 | 7 | 14:18 | 10 |
| შტურმი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:16 | 9 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. გადადებული მატჩი

**ტამპერე 4:2 ალიანსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 21 | 15 | 3 | 3 | 48:12 | 48 |
| ჰიკ | 22 | 14 | 5 | 3 | 41:14 | 47 |
| ტამპერე | 23 | 12 | 4 | 7 | 33:19 | 40 |
| ალიანსი | 22 | 10 | 5 | 7 | 41:34 | 35 |
| მიუპა | 20 | 10 | 3 | 7 | 36:23 | 33 |
| იარო | 23 | 8 | 7 | 8 | 30:32 | 31 |
| ტურკუ | 22 | 8 | 6 | 8 | 28:28 | 30 |
| ლაჰტი | 22 | 7 | 8 | 7 | 30:27 | 29 |
| ინტერი | 22 | 7 | 5 | 10 | 36:35 | 26 |
| ჯაზი | 22 | 6 | 6 | 10 | 26:46 | 24 |
| იოკერიტი | 22 | 6 | 5 | 11 | 23:33 | 23 |
| ჰამენლინა | 22 | 6 | 5 | 11 | 18:41 | 23 |
| კტპ | 21 | 6 | 1 | 14 | 26:46 | 19 |
| კუოპიო | 22 | 4 | 5 | 13 | 23:49 | 17 |

## მსოფლიოს ქალთა ჩემპიონატი

### მეოთხედფინალი

**ბრაზილია 1:2 შვედეთი**

**აშშ 1:0 ნორვეგია**

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. II ტური

E ჯგუფი

## ფერგიუსონს შტუტგარტი შეაპარეს

**შტუტგარტი 2:1 მანჩესტერი**
1:0 საბიჩი (50), 2:0 კურანი (52), 2:1 ვან ნისტელროი (673)
*მეირამ ვერ გაიტანა პენალტი (80, მეკარე)*
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ბორდონი, ლამი (გერბერი 71), სოლდო, ჯრანიეში (ტიფერტი 73), მელდტი, გლები (მაისნერი 87), კურანი, საბიჩი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
მანჩესტერი: ჰოვარდი, გ. ნევილი, ფერდინანდი (ფორლანი 82), სილვესტრი, ოში (ფორჩუნი 65), გიგზი, კინი, ფ. ნევილი, კ. რონალდო (ფლეტჩერი 90), სქოულზი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: გ. ნევილი, ტიფერტი
მსაჯი: ბოლონინო (იტალია)
50 348 მაყურებელი

„ჩემს სამწვრთნელო კარიერაში ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვებაა. ის ფაქტი, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ დავჯაბნეთ, ფანტასტიკურია“ — თქვა ნამატჩევს ფელიქს მაგათმა.

„შტატგარტმა“ შეხვედრის დასაწყისიდანვე მეტოქეს ბურთი დაუთმო და კონტრიერიშებზე ჩაუსაფრდა. „მანჩესტერი“ ამაოდ უტევდა და ეს გასაკვირი არაა, რადგან მაგათის გუნდს კარგად შედუღებული დაცვა ჰყავს.

პირველ ტაიმში მოწინააღმდეგეები ფრთხილობდნენ, რამაც უგოლობა გამოიწვია. ერთადერთი რეალური მომენტი მასპინძელთა უნგრელ ლეგიონერ იმრე საბიჩს ჰქონდა, რომლის თავურმაც ტიმ ჰოვარდი მსუბუქადააფორიაქა.

ის, რაც საბიჩმა შესვენებამდე ვერ მოახერხა, მეორე ტაიმში შეძლო. უნგრელ გარი ნევილის ზურგს უკან მალულად მოექცა, ფილიპ ლამტს უზადო პასი მიიღო, რიო ფერდინანდი უსაქმოდ დატოვა და ოციოდ მეტრიდან „მანჩესტერის“ მეკარეს გაუტანა.

ორ წუთში მოხდა ის, რაც თავად „მანჩესტერ იუნაიტედს“ სჩვევია. როგორც წესი, ფერგიუსონის შეგირდები მეტოქეებს ორ-სამ წუთიან ინტერვალში ზედიზედ გატანილი გოლებით ჰგუდავენ. ასე დაემართათ თვითონ სტუმრებს. იმრე საბიჩმა კევინ კურანი ჰოვარდთან პირისპირ გაიყვანა. ბრაზილიური წარმოშობის გერმანელ ფორვარდს ბურთისთვის ჭვინტის ამოკვრა არ გასჭირვებია და ანგარიში ორამდე გაზარდა.

ალექს ფერგიუსონმა ჯონ ოში ფორჩუნით შეცვალა, გიგზმა მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლა და საჯარიმოში მისი პირველივე ჩაწოდებით „მანჩესტერმა“ იხეირა. ბურთზე კარიდან გამოსული ჰილდებრანდი კრისტიანო რონალდოს შეეჯახა. პორტუგალიელი თოფნაკრავივით კისერზე დაეცა, რის გამოც „შტუტგარტის“ მეკარის დალებული ხახა ნახა, კოსიმო ბოლონინომ კი პენალტი დანიშნა.

რუუდ ვან ნისტელროიმ სეზონში ზედიზედ სამი გაფუჭებული თერთმეტმეტრიანის შემდეგ ნავსი გატეხა და ჰილდებრანდს გაუტანა. შეხვედრის დასრულებამდე ათი წუთით ადრე პენალტის გატანა მასპინძელ ფერნანდო მეირისაც შეეძლო, მაგრამ ტიმ ჰოვარდმა არ დაანება.

**პანათინაიკოსი 1:1 რეინჯერსი**
0:1 ემერსონი (35), 1:1 კონსტანტინიდისი (87)
პანათინაიკოსი: კოსტასი, მორისი, ხიტარიდისი, კურგიაკოსი (გუმასი 46), ფისასი, მიკაელსენი, მარიჩი, ეპალე (კონსტანტინიდისი 79), ფუტაუტასი, კონსტანტინუ, ვლაოვიჩი (პაპადოპულოსი 64)
მწვრთნელი: იცხაკ შუმი
რეინჯერსი: კლოსი, ბერგი, მური, ბოლი, ხიზანიშვილი, ემერსონი, კაპუშუ, არტეტა, ლოვენკრანდსი (ვანოლი 78), შ. არველაძე (ნერლინგერი 84), მოლსი
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
გაფრთხილება: მარიჩი, ვლაოვიჩი, გუმასი, ეპალი, არტეტა
გაძევება: გუმასი (47)
მსაჯი: ა. იბანიესი (ესპანეთი)
13 718 მაყურებელი

„პანათინაიკოსის“ მწვრთნელმა იცხაკ შუმმა იანის გუმასს რა დააბრალა, უცნობია, მაგრამ შეცვლაზე შესულმა გუმასმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე, ორ წუთში, მსაჯს ორი ყვითელი ბარათი დასტყუა, რისთვისაც მოედნიდან გაძევეს. კაცნაკლულმა ბერძნულმა გუნდმა ანგარიშის გათანაბრება სწორედ ამის შემდეგ მოახერხა, მანამდე კი, დაახლოებით ერთი საათის მანძილზე „რეინჯერსი“ მასპინძლებზე უკეთ თამაშობდა და ემერსონის გოლით იგებდა.


REUTERS

კევინ კურანი და იმრე საბიჩი

„პანათინაიკოსს“ მთავარმეგოლე ემანუელ ოლისადებე აკლდა. გაპოლონებულ ნიგერიელს გრძელვადიანი ტრავმა მიუღია და გუნდს ერთი თვის მანძილზე ვერ დაეხმარება. მის ნაცვლად შუმმა ხორვატი გორან ვლაოვიჩი ათამაშა, რომელიც მოედანზე დიდი ხანია, არავის უნახავს.

ათენელები შეხვედრის დასაწყისში ოდნავ დაბნეულად გამოიყურებოდნენ, სტუმრები კი უფრო მობილიზებულნი ჩანდნენ. პირველი საგოლე მომენტი „პანათინაიკოსის“ კართან შოთა არველაძემ შექმნა. მისი დარტყმული კარს ოდნავ ასცდა.

გორან ვლაოვიჩი და მისი კვიპროსელი მეწყვილე მიხალის კონსტანტინუ ნახევარდაცვისგან მოწყვეტილნი იყვნენ. მასპინძლებს დასალაგებლად დაახლოებით ათი წუთი დასჭირდათ. ისინი ნელ-ნელა შეეჩვივნენ მეტოქის საჯარიმოს და ორი ხელსაყრელი ეპიზოდი მოინადირეს. შტეფან კლოსმა ჯერ სილვიო მარიჩის დარტყმული მოიგერია, მერე კი კონსტანტინუმ ჩააწოდა კარის წინ, მაგრამ ეპალემ ბურთზე დაიგვიანა.

„პანათინაიკოსმა“ თითქოს მარწუხებს მოუჭირა და უფრო გულიანად შეუტია, მაგრამ მეტოქის კონტრშეტევა გაეპარა და გოლით დაისაჯა. ხიზანიშვილმა მარჯვენა ფლანგზე ნუნუ კაპუშუს მიაწოდა, რომლის ჩაწოდებულ ბურთს ემერსონი დაუხვდა და ანგარიში გახსნა.

შეხვედრის მიწურულს კი კონსტანტინუმ მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და გაათანაბრა.

**გაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| შტუტგარტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| მანჩესტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:2 | 3 |
| პანათინაიკოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | 1 |

F ჯგუფი

## ცრუ შთაბეჭდილება
### მას შეეშინდა 58 ათასის


REUTERS

პორტუში ზინედინ ზიდანის სისხლი დაიღვარა

**პორტუ 1:3 რეალი**
1:0 კოშტინია (7), 1:1 ელგერა (28), 1:2 სოლარი (37), 1:3 ზიდანი (66)
პორტუ: ბაია, ფერეირა, კარვალიო, ემანუელი (იანკაუსკასი 70), ვალენტე, მენდესი (მაკარტი 46), კოშტინია, დეკო, მანიშე, ფერნანდესი (ბოსინგვა 46), დერლეი სილვა
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი, ბრავო, რობერტო კარლოსი, ელგერა, ფიგუ, გუტი, ზიდანი, რონალდო (რაული 83), სოლარი (კამბიასო 90)
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
გაფრთხილება: პავონი, ელგერა, დეკო
მსაჯი: პ. კოლინა (იტალია)
37 506 მაყურებელი

„რეალმა“ ძალიან ცუდად, ნელა და უფანტაზიოდ დაიწყო. თითქოს „სამეფო კლუბი“ შაბათს „ვალენსიასთან“ წაგებულ შეხვედრას გაეტეხა ან სულაც პორტუს მატჩი იმ დღის გაგრძელება ყოფილიყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც ასე გამოვიდა: 1979 წლიდან მოყოლებული ამ მეტოქეებს შორის გამართული 11 შეხვედრიდან „რეალს“ ახლა უკვე 9 აქვს მოგებული.

უცნაური იცით, რა იყო? ის კი არა, რომ მადრიდელებმა ცუდად დაიწყეს ან პირველი გოლი გაუშვეს, არამედ ის, რომ პორტუს „დას ანტასზე“ მხოლოდ 37 ათასი მაყურებელი მივიდა.

მასპინძლებმა, რომელთაც ჟორჟე კოშტა და დმიტრი ალენიჩევი არ ჰყავდათ, მე-7 წუთზევე გახსნეს ანგარიში — კოშტინიას თავურს „რეალის“ გოლკიპერმა, იკერ კასილიასმა ვერაფრით უპასუხა. თუმცა 25-ე წუთზე ანგარიში 2:0 რომ არ გახდა, სტუმრები სწორედ კასილიასს უნდა უმადლოდნენ — დეკოს პასით დერლეიმ დაარტყა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა.

ამის შემდეგ კი „რეალი“ გამოფხიზლდა და ზინედინ ზიდანმაც მოედნის შუიდან სივრცეების გამოძებნას მიჰყო ხელი. ერთი სიტყვით, თამაში თანდათან გაწონასწორდა და მალე ივან ელგერამ თავურითვე გაქვითა, ხოლო კიდევ 9 წუთში სანტიაგო სოლარიმ სასწორი სტუმრების მხარეს გადასწონა.

მეორე ტაიმში, 66-ე წუთზე, ლუიშ ფიგუმ საჯარიმო ჩააწოდა, ზინედინ ზიდანმა კი მესამე გოლი გაიტანა. მატჩის შემდეგ, „რეალის“ პორტუგალიელმა მწვრთნელმა, კარლუშ კეიროშმა განაცხადა:

„როდესაც დასაწყისშივე ჩამორჩები, თამაში ძნელდება, მაგრამ ჩვენი გუნდი კარგად არის მომზადებული. რაც შეეხება „პორტუს“, ის ჩინებული მეტოქეა და განსაკუთრებით ძლიერია სტანდარტული სიტუაციების დროს. ერთი სიტყვით, თავიდან ჩამოვრჩით, მაგრამ შემდეგ ნელ-ნელა ჩვენებური თამაში დავიწყეთ, შეტევაზე გადავედით, ბურთი მოვიპოვეთ და შეხვედრის სისწრაფეც ჩვენ გავაკონტროლეთ. ვფიქრობ, შედეგი სამართლიანი იყო, რაც „ვალენსიასთან“ წაგების შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. „რეალი“ დიახაც ძლიერი, გამოცდილი და დიდ წარმატებებზე შემართული გუნდია, მაგრამ უზადო აბა, ვინ არის? „ვალენსიაში“ წაგების ღირსნი ვიყავით, მეტოქემ გვაჯობა და წავაგეთ, თუმცა მას მერე ყოველდღე იმ შეცდომებზე ვსაუბრობდით, რათა პორტუში აღარ გაგვემეორებინა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე დავწინაურებულიყავით“.

„პორტუს“ თავკაცმა ჟოზე მაურინიუმ კი დასძინა:

„პირველ ოცდაათ წუთში გაცილებით ვჯობდით მოწინააღმდეგეს და ცრუ შთაბეჭდილებაც კი შევქმენით, თითქოს ჩვენ მათ ვჯობდით. 1:0-ს რომ ვიგებდით, კასილიასმა დიდებული ბურთი მოიგერია, თორემ 2:0 გახდებოდა და ვინ იცის, საბოლოო შედეგიც სხვა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, პირველი გოლი დაცვაში შეცდომის გამო გავუშვით და გუნდმაც ველარ შეძლო ძველებური ნირის შენარჩუნება. ერთია ნაკრების ფეხბურთელთა ყოლა და მეორე მსოფლიოს საუკეთესოთა წინააღმდეგ თამაში“.

**მარსელი 3:0 პარტიზანი**
1:0, 2:0, 3:0 დროგბა (62, 68, 84)
მარსელი: რუნჯე, პერესი, ვან ბუიტენი, მეიტე, ვკერი, მარლე (ფერნანდო 60), ბამუშეკი, მერიემი (მემდანი 72), ხელესტინი, მიდო (სიჩოვი 77), დროგბა
მწვრთნელი: ალენ პერენი
პარტიზანი: რადაკოვიჩი, ჩირკოვიჩი (სავიჩი 86), ჯორჯევიჩი, სტოიანოსკი, ვესტა, მალბასა, დულია, ილიჩი (დრულოვიჩი 81), ნადი, დელიბაშიჩი, ილიევი (ბრნოვიჩი 81)
მწვრთნელი: ლოთარ მათეუსი
გაფრთხილება: დელიბაშიჩი, მიდო
გაძევება: დელიბასიჩი (45)
მსაჯი: მესინა (იტალია)
58 000 მაყურებელი

ბელგრადის „პარტიზანის“ ცნობილმა მწვრთნელმა, გერმანელმა ლოთარ მათეუსმა მატჩის შემდგომ განაცხადა, რომ იტალიელმა მსაჯმა, დომენიკო მესინამ საქმეს თავი კარგად ვერ გაართვა. მისი აზრით, მესინამ ვერაფერი გააწყო მარსელის „ველოდრომზე“ თავმოყრილი 58 ათასი მაყურებლის წინააღმდეგ და მათი გავლენის ქვეშ მოექცა — ფრანგი მაყურებელი თურმე მეტისმეტად ხმაურობდა. მათეუსის მტკიცებით, მსაჯმა ვერ შეამჩნია, როგორ დაარღვია წესი პირველი გოლის შეგდების წინ სპილოსძვლისნაპირელმა დიდიე დროგბამ, ხოლო ბელგრადელი ანდრია დელიბაშიჩი გასაძევებელი არ იყო.

„ძალიან იმედგაცრუებული ვარ და თან იმდენად დამარცხებით თუ ანგარიშით არა, რამდენადაც იმ ფორმით, რომლითაც ეს ყველაფერი მოხდა. მსაჯი მთელი მატჩის განმავლობაში ჩვენს მიმართ მეტისმეტად მკაცრი და მათ მიმართ მეტისმეტად მოწყალე გახლდათ, რაც ხალხის ხმაურის გამო მოხდა“ — თქვა მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონმა.

ზემოთ დელიბაშიჩის გაძევება ვახსენეთ, რისი მიზეზიც მსაჯის აზრით მისი თეატრალური გაშოტვა და პენალტის გამოტყუების სურვილი იყო, რაც პირველი ტაიმის მიწურულს, მსაჯის წამატებულ წუთებში მოხდა.

დავძინოთ, რომ შეხვედრის სამივე გოლი ერთმა ადამიანმა, დროგბამ გაიტანა და ერთხელაც ძელს გაარტყა ბურთი.

„მარსელის“ თავკაცი ალან პერენი: „გოლების რაოდენობით და შედეგით კმაყოფილი ვარ. ამასთან, ჯგუფის მეორე შედეგიც ჩვენთვის ძალიან საინტერესო გამოდგა. დროგბამ კარგად ითამაშა, „პარტიზანი“ კი ათი კაცით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე თერთმეტით“.

**პაატა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| მარსელი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| პორტუ | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| პარტიზანი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. II ტური

G ჯგუფი

## არ უღალატო ჯიმის!

**ჩელსი 0:2 ბეშიქთაში**

**0:1, 0:2 სერგენი (24, 29)**
**ჩელსი: კუდიჩინი, დესაი, გალასი, ბაბაიარო (ბრიჯი 23), ტერი, ჯერემი, მაკელელე, ვერონი, ლამპარდი, კრესპო (ჰასელბაინკი 45), მუტუ (დაფი 45)**
**მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი**
**ბეშიქთაში: ო. კორდობა, ძაგო, გ. რონალდო, ემრე ასიკი, ტაიფური, ჯუნტი (სულუნი 68), უზულმეზი, სერგენი (პასანი 81), კოჩი (დობრა 59), პანჩუ, მანსიზი**
**მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ**
**გაფრთხილება: მუტუ, მანსიზი, ტაიფური, ჯუნტი, სერგენი, ძაგო**
**გაძევება: მანსიზი (51)**
**მსაჯი: ლ. ბატისტა (პორტუგალია)**
**32 957 მაყურებელი**

ადრე, შავ-თეთრი ტელევიზორების ეპოქაში, სულ სამი-ოთხი არხი იყო. გადართავდი, გადმორთავდი და ბევრი საძებნი არაფერი გქონდა. ახლა 70-80 არხია. დისტანციური მართვის პულტი ხელდახელ შემოგაცვდება და ბოლოს ან პულტი გაფუჭდება, ან ტელევიზორი.

რომან აბრამოვიჩმა კლაუდიო რანიერის სწორედ ასეთი „ჩელსი“ ჩააბარა, რომელიც შემადგენლობის მუდმივი ცვლილებისგან ნაადრევად გადაიწვა. ვინ ვათამაშო? აი, ეს არის იტალიელი მწვრთნელის სადარდებელი. დღეს ჰასელბაინკი, ხვალ მუტუ, ზეგ კრესპო, მაზეგ გუდიონსენი, მერე აბრამოვიჩი კიდევ ვიღაცას მოიყვანს და ამასობაში რანიერი აირია.

შარწანდელ სეზონში „ჩელსის“ ნამდვილად შავ-თეთრი (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) შემტევები ჰყავდა: ჰასელბაინკი-გუდიონსენი. ამჟამად გუნდი ფორვარდებით, მცველებით და ნახევარმცველებით ისეა დახუნძლული, რომ იტალიელი შერჩევისას დაიბნა.

ინგლისური პრესის აზრით, კლაუდიო რანიერის ფეხბურთელებმა „ბეშიქთაშთან“ მატჩში ფუნქციები ვერაფრით გაარკვიეს და გაიყვეს. სწორედ ამ ქაოსით ისარგებლეს სტამბოლელებმა და რომან აბრამოვიჩს პირველი ალიყური აჭამეს. „ჩელსიმ“ წააგო, მარამ განა წაგების უფლება არ ჰქონდა? რა თქმა უნდა, კი, მაგრამ ინგლისელებს ამ მარცხის სულ სხვა მხარე ალელვებთ: „ბენჩლერბირლიგმა“ „ბლექბერნი“ უეფას თასზე დაამარცხა, „ბეშიქთაში“ გაკადნიერდა და „არისტოკრატები“ ლონდონში დასცა, 11 ოქტომბერს კი სტამბოლში თურქეთ — ინგლისის უკვე გამოცხადებული ომის მესამე სერია გაიმართება. სვენ გორან ერიკსონი ოსმალოებს პორტუგალიის საგზურისთვის შეერკინება. ჯერჯერობით თურქები იგებენ.

ინგლისურმა პრესამ კლაუდიო რანიერის ძირითადი შემადგენლობიდან ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის ამოგდებაც არ მოუწონა. ჰოლანდიელს პრემიერლიგაში ხუთი გოლი გაუტანია და რანიერს თავიდანვე უნდა ეთამაშებინაო.

თავგზააბნეულ იტალიელს ალმართში სელესტინ ბაბაიაროს ტრავმაც „დაეწია“. ბაბაიარო 23-ე წუთზე შესაცვლელი გახდა და მოედანზე მის ნაცვლად შესული უეინ ბრიჯი სანამ დაცვის სამეულში ჩაეწერა, სერგენ იალჩინმა ორი გოლის გატანა მოასწრო.

ისიც აღსანიშნავია, რომ „ასტონ ვილასთან“ მოგებული მატჩის შემდეგ კლაუდიო რანიერიმ ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი შეცვალა, მაგრამ ჰიცფელდისეულმა როტაციის პრინციპმა ამჯერად არ გაამართლა.

**ლაციო 2:2 სპარტა**

**0:1 სიონკო (27), 0:2 პობორსკი (35), 1:2, 2:2 ინძაგი (46, 60პ)**
**ლაციო: პერუცი, ოდო, სტამი, მიხაილოვიჩი, ფავალი, კონსეისაო (მუცი 61), ალბერტინი (ლივერანი 46), სტანკოვიჩი, ფიორე, კორადი, ს. ინძაგი (დაბო 81)**
**მწვრთნელი: რობერტო მანჩინი**
| 18.00 | 5142 | ლაციო-კიევო | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 5143 | ლეჩე-ბრეშა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 18.00 | 5144 | პარმა-სამპდორია | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 18.00 | 5145 | სიენა-რომა | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 21.00 | 5146 | პერუჯა-რეჯინა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.30 | 5147 | ინტერი-მილანი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 20.00 | 5148 | ვალიადოლიდი-რასინგი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 20.00 | 5149 | მალაგა-სელტა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 20.00 | 5150 | მალიორკა-ოსასუნა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 20.00 | 5151 | მურსია-ალბასეტე | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 20.00 | 5152 | სოსიედადი-სევილია | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 22.00 | 5153 | რეალი-ესპანიოლი | 1,3 | 25,0 | 50,0 | 3,5 | 7,0 | 25,0 | 40,0 | 22,0 | 22,0 |
| 00.30 | 5154 | ბარსელონა-ვალენსია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4, | 45,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |

კროკოს დიდუბის ბიურო (წერეთლის გამზირი, კორპუსი № 11) 1 სექტემბრიდან ორშაბათობითაც მუშაობს

## I ეტაპის V ტურის წინასწარი შედეგები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქ. |
|---|---|---|
| 1-2 | სოლოღაშვილი თეიმურაზ შოთას ძე | 44 |
| 1-2 | ძნელაძე ნუგზარ სიმონის ძე | 44 |
| 3 | თორდია ვალერიან ვალერიანის ძე | 41 |
| 4-10 | ბარბაქაძე გიორგი კონსტანტინეს ძე | 39 |
| 4-10 | გაბელაია კახა ჟუკას ძე | 39 |
| 4-10 | გელაშვილი გელა ბიჭიკოს ძე | 39 |
| 4-10 | თევდორაძე ვარლამ გივის ძე | 39 |
| 4-10 | მსხვილიძე გიორგი გივის ძე | 39 |
| 4-10 | სამხარაძე ვეფხვია შოთას ძე | 39 |
| 4-10 | ფაცია გიორგი მურმანის ძე | 39 |
| 11-13 | მისაბიშვილი გიორგი გიორგის ძე | 38 |
| 11-13 | ციკოლია მამუკა ვალერიანის ძე | 38 |
| 11-13 | ჭეიშვილი მელიტონ მანასის ძე | 38 |
| 14 | ბეგიაშვილი ანა მიხეილის ასული | 37 |
| 15-33 | ავლოხაშვილი ავთანდილ ანტონის ძე | 36 |
| 15-33 | ასპანიძე გიორგი შოთას ძე | 36 |
| 15-33 | ბასილაია მიშიკო თემურის ძე | 36 |
| 15-33 | ბუხნიკაშვილი ხვიჩა რევაზის ძე | 36 |
| 15-33 | გოგლიძე ჯემალ კონსტანტინეს ძე | 36 |
| 15-33 | ვეშაპიძე გია შოთას ძე | 36 |
| 15-33 | კაკაბაძე გიორგი გიორგის ძე | 36 |
| 15-33 | კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე | 36 |
| 15-33 | მამუკაშვილი პაველ ედუარდის ძე | 36 |
| 15-33 | მარდალეიშვილი გიორგი თეიმურაზის ძე | 36 |
| 15-33 | მორჩიაშვილი პალიკო სევერიანის ძე | 36 |
| 15-33 | სანიკიძე დავით შოთას ძე | 36 |
| 15-33 | ფირცხალავა ლევან ტარიელის ძე | 36 |
| 15-33 | ქურდაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე | 36 |
| 15-33 | ღვაჩლიანი ირაკლი ფაიზორის ძე | 36 |
| 15-33 | ციცვიძე იური ვლადიმერის ძე | 36 |
| 15-33 | ძნელაძე თეიმურაზ კამოს ძე | 36 |
| 15-33 | წულაია თამთა აკაკის ასული | 36 |
| 15-33 | ჭუმბურიძე კახა ზაურის ძე | 36 |

## I ეტაპის VI ტურის წინასწარი შედეგები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქ. |
|---|---|---|
| 1 | გრიგორაშვილი თამაზ დავითი ძე | 36 |
| 2 | ნუცუბიძე ალექსანდრე სერგოს ძე | 34 |
| 3 | ფარცვანია ფრიდონ ღუდას ძე | 33 |
| 4 | ცომაია რევაზ პეტრეს ძე | 31 |
| 5 | კალანდაძე ავთო ბადრის ძე | 30 |
| 6 | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | 29 |
| 7-16 | ამირეჯიბი გოჩა შოთას ძე | 28 |
| 7-16 | ბაციკაძე ნუგზარ ვლადიმერის ძე | 28 |
| 7-16 | გაგნიძე ბესიკ სიმონის ძე | 28 |
| 7-16 | ვერმიშევი სიმონ გრიგოლის ძე | 28 |
| 7-16 | ფირცხალაიშვილი იოსებ ნიკოლოზის ძე | 28 |
| 7-16 | ფხაკაძე ზურაბ გურგენის ძე | 28 |
| 7-16 | ქველაძე ეკატერინე ოთარის ასული | 28 |
| 7-16 | ღვინიაშვილი ნათია იოსების ასული | 28 |
| 7-16 | ჭეიშვილი მელიტონ მანასის ძე | 28 |
| 7-16 | ჭუმბურიძე კახა ზაურის ძე | 28 |
| 17-21 | ბლუაშვილი ზურაბ ნოდარის ძე | 26 |
| 17-21 | ვეშაპიძე გია შოთას ძე | 26 |
| 17-21 | ფეიქრიშვილი მერაბი ჯემალის ძე | 26 |
| 17-21 | ღვაჩლიანი ირაკლი ფაიზორის ძე | 26 |
| 17-21 | ხარხელაური ვლადიმერ ლევანის ძე | 26 |
| 22-36 | ბარბაქაძე გიორგი კონსტანტინეს ძე | 25 |
| 22-36 | ბეგიაშვილი ანა მიხეილის ასული | 25 |
| 22-36 | თხელიძე ირაკლი ჯონდოს ძე | 25 |
| 22-36 | კაპანაძე პაველ ვალტერის ძე | 25 |
| 22-36 | კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე | 25 |
| 22-36 | კოტეტიშვილი ირაკლი შოთას ძე | 25 |
| 22-36 | მაზიაშვილი დავით ბიძინას ძე | 25 |
| 22-36 | მახარაშვილი თეიმურაზ თენგიზის ძე | 25 |
| 22-36 | მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე | 25 |
| 22-36 | მელიქაური ლევან ვალერიანის ძე | 25 |
| 22-36 | ნიჟარაძე შოთა ვარლამის ძე | 25 |
| 22-36 | სანიკიძე დავით შოთას ძე | 25 |
| 22-36 | შენგელია ლაშა ზაურის ძე | 25 |
| 22-36 | ნიქარიძე გოგა იურის ძე | 25 |
| 22-36 | სულაშვილი გიორგი მალხაზის ძე | 25 |

# საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004"

### I ეტაპი, IX ტური

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------------

----------------------------

**რჩევა კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 03.10.03**

შტამპის ადგილი

I ეტაპი, IX ტური
ჩაბარების ბოლო ვადაა 03.10.03

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------------

მისამართი ----------------------------

----------------------------

----------------------------

საკონტაქტო ტელეფონი ----------------------------

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 04.10 | ლივერპული - არსენალი | | 16.30 | 04.10 | ლივერპული - არსენალი | |
| 19.00 | 04.10 | ნიუკასლი - საუთჰემპტონი | | 19.00 | 04.10 | ნიუკასლი - საუთჰემპტონი | |
| 19.00 | 04.10 | ტოტენჰემი - ევერტონი | | 19.00 | 04.10 | ტოტენჰემი - ევერტონი | |
| 16.30 | 04.10 | რეინჯერსი - სელტიკი | | 16.30 | 04.10 | რეინჯერსი - სელტიკი | |
| 18.30 | 04.10 | აინტრახტი - დორტმუნდი | | 18.30 | 04.10 | აინტრახტი - დორტმუნდი | |
| 18.30 | 04.10 | ჰამბურგი - გლადბახი | | 18.30 | 04.10 | ჰამბურგი - გლადბახი | |
| 18.30 | 04.10 | ბოჰუმი - კაიზერი | | 18.30 | 04.10 | ბოჰუმი - კაიზერი | |
| 23.00 | 04.10 | სოშო - პსჟ | | 23.00 | 04.10 | სოშო - პსჟ | |

### I ეტაპი, X ტური — I ეტაპი, X ტური

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 05.10 | ლაციო - კიევო | | 18.00 | 05.10 | ლაციო - კიევო | |
| 21.00 | 05.10 | პერუჯა - რეჯინა | | 21.00 | 05.10 | პერუჯა - რეჯინა | |
| 21.30 | 05.10 | ინტერი - მილანი | | 21.30 | 05.10 | ინტერი - მილანი | |
| 19.00 | 05.10 | ბარსელონა - ვალენსია | | 19.00 | 05.10 | ბარსელონა - ვალენსია | |
| 19.00 | 05.10 | დეპორტივო - ატლეტიკო | | 19.00 | 05.10 | დეპორტივო - ატლეტიკო | |
| 19.00 | 05.10 | ბეტისი - ბილბაო | | 19.00 | 05.10 | ბეტისი - ბილბაო | |
| 19.00 | 05.10 | მალიორკა - ოსასუნა | | 19.00 | 05.10 | მალიორკა - ოსასუნა | |
| 23.45 | 05.10 | მარსელი - ბასტია | | 23.45 | 05.10 | მარსელი - ბასტია | |

**ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 4 ოქტომბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში" და გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში (მხოლოდ 4 ოქტომბერს)**

## მდგომარეობა ექვსი ტურის შემდეგ

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქულა |
|---|---|---|
| 1-2 | ქურდაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე | 188 (28-39-34-31-36-20) |
| 1-2 | ღვაჩლიანი ირაკლი ფაიზორის ძე | 188 (31-28-38-29-36-26) |
| 3 | ვეშაპიძე გია შოთას ძე | 186 (28-31-36-29-36-26) |
| 4 | მახარაშვილი თეიმურაზ თენგიზის ძე | 180 (23-33-41-28-30-25) |
| 5 | ფარცვანია ფრიდონ ღუდას ძე | 179 (23-29-36-23-35-33) |
| 6 | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | 178 (23-30-36-26-34-29) |
| 7 | ფირცხალავა ლევან ტარიელის ძე | 177 (28-41-23-26-36-23) |
| 8-9 | კალანდარიშვილი ზაალ ალექსანდრეს ძე | 175 (26-28-33-34-31-23) |
| 8-9 | მორჩიაშვილი პალიკო სევერიანის ძე | 175 (20-39-28-31-36-21) |
| 10 | ბახტაძე ირაკლი ნიკოლოზის ძე | 174 (18-36-36-31-33-20) |
| 11 | ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე | 172 (23-23-49-26-33-18) |
| 12 | გოგონაძე ჯაბა ბადრის ძე | 168 (20-33-36-23-33-23) |
| 13 | კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე | 166 (15-39-15-36-36-25) |
| 14 | გურგენიძე ზურაბ ანტონის ძე | 165 (23-39-39-26-23-15) |
| 15-16 | ჟღენტი დიმიტრი გიორგის ძე | 164 (25-26-28-31-34-20) |
| 15-16 | ციცვიძე იური ვლადიმერის ძე | 164 (15-20-42-31-36-20) |
| 17-18 | ბარბაქაძე გიორგი კონსტანტინეს ძე | 162 (23-39-15-21-39-25) |
| 17-18 | მელიქაური ლევან ვალერიანის ძე | 162 (23-26-30-28-30-25) |
| 19-20 | გორელაშვილი დავით გურამის ძე | 161 (31-36-23-15-33-23) |
| 19-20 | ჭანტურია სოსო კობას ძე | 161 (23-33-36-23-23-23) |
| 21-22 | ბეგიაშვილი ანა მიხეილის ასული | 160 (28-18-18-34-37-25) |
| 21-22 | გრიგორაშვილი თამაზ დავითის ძე | 160 (30-15-15-31-33-36) |
| 23-25 | კალანდაძე ავთო ბადრის ძე | 159 (23-29-23-21-33-30) |
| 23-25 | ნუცუბიძე ალექსანდრე სერგოს ძე | 159 (18-20-28-31-28-34) |
| 23-25 | წიკლაური მაია ინგურის ასული | 159 (23-23-20-37-33-23) |

**შედეგების გასაჩივრება შეიძლება 8 ოქტომბრამდე 11-დან 15 საათამდე კვირა-ორშაბათის გარდა გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში, აბლაძის 39ა, მე-3 სართული**

## საკონკურსო ბიულეტენები მიიღება

1. ტოტალიზატორ „ტაიმში", კოსტავას ქ.№37 და მის ფილიალში, მეტრო „აბმტელის თეატრი", მინისქვეშა გადასასვლელი მუხიანის მხარეს.
2. მეტრო „ვაგზლის მოედანი" პირველი გამოსასვლელი „პლანეტის" ჯიხური №8
3. მეტრო „გოცირიძე" „ფორტე 4"
4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის" ჯიხური №1.8 ატელიეს წინ
5. მეტრო „ვარკეთილი" „ფორტე 2"
6. მეტრო „სამგორი" „ფორტე 9"
7. მეტრო „თავისუფლების მოედანი" მაღაზია „თბილისი"
8. მეტრო „აბმტელი" „ფორტე 7"
9. მეტრო „ღრმაღელე" „პლანეტის" ჯიხური №20
10. მეტრო „დიდუბესთან" „პლანეტის" ჯიხური №17
11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის" ჯიხური №16
12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის" ჯიხური №15
13. „მაცნეს" ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)
14. „მაცნეს" ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)
15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)
16. ბათუმში ხუბულავილის №13 (ავთო გადახაძე, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)

ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში

# RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

**B ჯგუფი**

საფრანგეთი
შოტლანდია
ფიჯი
იაპონია
აშშ

## საფრანგეთი

დედაქალაქი
პარიზი
59 მილიონი მაცხოვრებელი
91 500 მორაგბე

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — ფინალში წააგო ახალ ზელანდიასთან
1991 — მეოთხედფინალში წააგო ინგლისთან
1995 — ნახევარფინალში წააგო სამხრეთ აფრიკასთან; მესამე ადგილისთვის მოუგო ინგლისს
1999 — ფინალში წააგო ავსტრალიასთან

# მამალი გუნდი

**საფრანგეთის** ნაკრები ტრადიციას არ ღალატობს, „მამლები" როგორც ყოველთვის მსოფლიოს თასის პირველი თუ არა, ერთ-ერთი ფავორიტები არიან. წინა თასებზე ფრანგები ყოველთვის დამაჯერებლად გამოდიოდნენ, რაზეც 1987 და 1999 წლებში ფინალში გასვლაც მეტყველებს, მაგრამ მათ ჯერაც ასახდენი აქვთ მთავარი ოცნება — მოსაგები აქვთ თასი. მოახერხებენ ამას ავსტრალიაში?

ძნელი სათქმელია, „მამლებს" ყოველთვის უჭირთ ბოლო ნაბიჯის გადადგმა, მუდამ რაღაც აკლდებათ. შესაძლოა ესაა პრაგმატული სარაგბო აზროვნება, ან ვინ იცის, კიდევ რა...

ფრანგები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ლაღი ბურთაობით და უზადო ტექნიკით, რასაც ხშირად შედეგი ეწირებოდა. სამაგიეროდ, ერთი რამ დაეტრაბახებათ — მათ ინგლისელების მიერ მოგონილი რაგბი დახვეწეს და უფრო ლამაზი, სანახაობრივი გახადეს.

მაგრამ მთლიანობაში ესაა ფრანგული რაგბის ერთობ ზოგადი შეფასება და ამ მოსაზრებათა გამო „მამლებს" არავინ ჩამოწერს. პირიქით, მათ ყველა უფრთხის. 1987 წელს პირველ მსოფლიოს თასზე ფრანგებმა სერჟ ბლანკოს ლელოს წყალობით მძლავრი ავსტრალია ნახევარფინალიდან გამოთიშეს და ფინალში ახალ ზელანდიას შეხვდნენ. ფინალი ოკლენდში „იდენ პარკზე" გაიმართა და „მამლები" 29:9 დამარცხდნენ.



„მამლების" უბერებელი წინამძღოლი ფაბიენ გალტიე

სხვათა შორის, ფრანგთა მაშინდელი კაპიტანი 9 ნომერი პიერ ბენბიზიე შემდეგში ნაკრებს სათავეში ჩაუდგა და 1995 წელს სამხრეთ აფრიკაში გამართულ მსოფლიოს თასზე „მამლებს" ღირსეული მესამე ადგილი მოაპოვებინა.

1999 წელს დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს თასზე „მამლებმა" ნახევარფინალში ახლა ახალი ზელანდია დასცეს და უელსში კარდიფის „მილენიუმზე" ფინალში ავსტრალიელ „ვოლაბებს" შეერკინნენ. მარცხის მიუხედავად, სამშობლოში დაბრუნებულ „მამლებს" გულშემატკივრებმა გრანდიოზული დახვედრა მოუწყვეს ელისეს მინდვრებზე და სამშობლოს გმირებად აღიარეს.

2000 წელს ნაკრები ბერნარ ლაპორტმა ჩაიბარა, გუნდის გადახალისება დაიწყო და ძირითად ამოცანად რეკრუტებისა და ძველი გვარდიის ერთმანეთთან შეწყობა დაისახა. მის საავსტრალიო გუნდში წარმოშობით ქართველი დიმიტრი იაშვილიც მოხვდა, რომლის მამა მიშელ იაშვილი თავის დროზე „მამლების" ღირსებას იცავდა. ხოლო მისი უფროსი ძმა გრეგუარი, მოგეხსენებათ, ბოლო წლებში საქართველოს ნაკრებში თამაშობს და ბორჯღალოსნებს ავსტრალიაშიც ახლავს.

ავსტრალიაში „მამლების" მიზანი კვლავაც უცვლელია — ოდესღაც ხომ უნდა დაიმრას ყინული და მსოფლიოს თასი ფრანგებსაც შეხვდეთ. „მამლები" შედარებით სუსტ ჯგუფში მოხვდნენ შოტლანდიასთან, კანადასთან, იაპონიასა და ფიჯისთან ერთად, ასე რომ, როგორც ყოველთვის, არც ახლა შეექმნებათ ჯგუფიდან გასვლის პრობლემა, მთავარი ბრძოლები მათ დასკვნით ეტაპებზე ელით.

„მამლებს" ისევ ბებერი ფაბიენ გალტიე უკაპიტნებთ, რომელსაც ყველა მსოფლიოს თასზე უთამაშია და ამ ტურნირის მერე რაგბიდან წასვლას აპირებს.



**მთავარი მწვრთნელი:** ბერნარ ლაპორტი
**შერკინება:** სებასტიან შაბალი, კრისტიან ლაბიტი, პატრიკ ტაბაკო, იმანოლ არინორდოკი, ოლივიე მანე, სერჟ ბესენი, ჟერომ ტიონი, დავიდ არადუ, ფაბიენ პელუ, ოლივიე ბრუზე, რაფაელ იბანესი, იანიკ ბრუ, ოლივიე მილუ, სილვიან მარკონე, ჟან-ბატის პო, ჟან-ჟაკ კრენკა
**უკანა ხაზი:** კლემე პოიტრინუ, ნიკოლა ბრუსკე, ორელინ რუჟერი, ქსავიერ გარბაჟოზა, პეპიტო ელორგა, კრისტოფ დომინიკი, ბრაიან ლიბენბერგი, იანიკ ჟოზიონი, ტონი მარში, დემიენ ტრაილე, ჟერალ მერსერონი, ფრედერიკ მიშალაკი, დიმიტრი იაშვილი, ფაბიენ გალტიე (კაპ)

## შოტლანდია

დედაქალაქი
ედინბურგი
5,1 მილიონი მაცხოვრებელი
10 000 მორაგბე

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — მეოთხედფინალში წააგო ახალ ზელანდიასთან
1991 — ნახევარფინალში წააგო ინგლისთან
1995 — მეოთხედფინალში წააგო ახალ ზელანდიასთან
1999 — მეოთხედფინალში წააგო ახალ ზელანდიასთან

# გაერთიანდით სქოთებო!

**შოტლანდიაში** რაგბის თამაშს არისტოკრატებმა ჩაუყარეს საფუძველი. მათ პირველებმა დაიწყეს ოვალური ბურთით თამაში, რის შემდეგაც რაგბი შოტლანდიელთა ნომერ პირველი სპორტი გახდა. დიდ ბრიტანეთში რაგბის სამოყვარულოდან პროფესიულ ყაიდაზე გადასვლა ყველაზე ბოლოს შოტლანდიაში მოხდა, რის შემდეგაც რაგბის ფედერაციამ ეროვნულ გუნდში ორმაგი მოქალაქეობის მქონე ძმებს, მარტინ და ჯონ ლესლებს უხმო, რომლებიც მანამდე ახალ ზელანდიაში ცხოვრობდნენ და ქენთერბერის პროვინციის ნაკრებში თამაშობდნენ.

ჯიგრიანი სქოთი ხალხი რაგბის დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის თამაშობდა და ყოველგვარ მატერიალურ ანაზღაურებაზე უარს აცხადებდა. თითქოს პარადოქსია, მაგრამ ასეთ აზრს ხშირად გაიგონებთ რაგბის გურმანებისგან — ინგლისზე მეტად შოტლანდიელთა ბურთაობის ხილვა გვსიამოვნებს, აი ეგენი თამაშობენ ნაღდ რაგბისო.

ის კი არავის უკვირს, რომ სქოთის უპირველესი მიზანი მეზობელი ინგლისელების დამარცხებაა. ანგლის ძლევა მხოლოდ ერთი კონკრეტული მატჩის მოგებას როდი ნიშნავს, არამედ მთელი ერის გამარჯვებად აღიქმება.

შოტლანდიელებმა ბოლოს 1999 წელს შეძლეს ექვსი ერის გათამაშების მოგება. იმავე წელს დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს თასზე ისინი ახალი ზელანდიის ნაკრებთან მეოთხედფინალში დამარცხდნენ და თასის გათამაშებას გამოეთიშნენ. ნაკრების მოთამაშეთა ძირითადი ბირთვი ინგლისის ჩემპიონატში თამაშობს. ნაკრების მოთამაშეთა უმეტესობა ევრორაგბის ვარსკვლავია, მაგრამ ნაკრებში თითქოს რაღაც ემართებათ და ბოლო წლებია, შოტლანდია 6 ერის გათამაშებების აუტსაიდერია, ანაც ოდენ ცხრილის შუა ადგილებს სჯერდება

იან მაკგეჰანის მთავარი საზრუნავიც კარგი ბიჭებისაგან მოგებაზე დაგეშილი გუნდის შექმნაა, თორემ სქოთებს თავდადებასა და ბრძოლისუნარიანობას ვერავინ დაუკარგავს, მათი მეტსახელი ხომ „მამაცი გულებია". პლეი ოფში გასასვლელად შოტლანდიელებს მთავარი ბრძოლა ფიჯისთან ექნებათ, თორემ აშშ-სა და იაპონიას ადვილად მოუგებენ.



კენი ლოგანი



გრეგორ თაუნსენდი

**მთავარი მწვრთნელი:** იან მაკგეჰანი
**შერკინება:** საიმონ ტეილორი, როს ბიტი, ჯონ პეტრი, ენდრიუ მური, მარტინ ლესლი, ჯეისონ უაიტი, სტიუარტ გრიმსი, ნატან ჰინესი, სკოტ მიურეი, გევი კერი, გორდონ მაკლიამი, ბრიუს დუგლასი, ტომ სმიტი, რობ რასელი, დაგ ჰოლი, გორდონ ბალოკი
**უკანა ხაზი:** გლენ მეტკალფი, ბენ ინშელვუდი, კრის პატერსონი, კენი ლოგანი, საიმონ დენიელი, ნიკი უოკერი, ენდი კრეიგი, ენდრიუ ჰენდერსონი, ჯეიმს მაკლარენი, გორდონ როსი, გრეგორ თაუნსენდი, ბრაიან რედპატი (კაპ), გრიმ ბევერიჯი, მაიკ ბლერი

# ფიჯი

დედაქალაქი
სუვა
800 ათასი მაცხოვრებელი
30 000 მორაგბე

**მსოფლიოს თასებზე**

1987 მეოთხედფინალში წააგო საფრანგეთთან
1991 ჯგუფში ყველა თამაში წააგო
1995 არ მონაწილეობდა
1999 მერვედფინალში წააგო ინგლისთან

**მთავარი მწვრთნელი:** მაკ მაკკოლინზი
**შერკინება:** ალიფერეტი დოვივერატა (კაპ), სეტა ტავაკე, სისა კოიმაიბოლე, კიტიონე სალავა, ალივერეტი მოკელუტუ, კოლი სევაბუ, ვულა მაიმურიე, ემორი კატალაუ, ალპისაი ნაევო, იფერეიმი როვაგა, კელე ლივერე, ნაკანიელი სერუ, რიჩარდ ნიოლტი, ჯო ვეიტაიაკი, ბილ გადოლო, ისაია რასილა, გრეგ სმიტი
**უკანა ხაზი:** ალფიე ულუინაიაუ, ნორმა ლიგაილი, მარიკა ვუნიბაკა, რუპენი კაუკაუნიბუკა, ვილიმონი დელასაუ, ეპელი რუივადრა, საიმონ ლიტლი, სამისონი რაბაკა, მოსესე რაულუმი

## კაციჭამია ვეგეტარიანელები



ლაღი ბურთაობა ფიჯელების მოგონილია

ოდესღაც სამში და „კაციჭამია" ფიჯელები რაგბის სიამოვნებისთვის, მზით გამთბარ ხასხასა კორდებზე და ოკეანის ქვიშიან სანაპიროებზე თამაშობენ. ამბობენ — ჩვენი მზე გულებში, თავსა და ფეხებში გვაქვსო.

ფიჯელების უმეტესობა მოქნილი და სწრაფია, ამიტომაც „მწვანე პალმებს" შვიდკაცა რაგბის ბურთაობა უფრო გამოსდით. გამოსდით და თანაც როგორ, მათ წინააღმდეგობას მხოლოდ მეზობელი ახალზელანდიელები თუ უწევენ ფიჯელებს. ამ ყველასაგან განსხვავებული [illegible] გამო შვიდკაცა რაგბის [illegible] ლებენ.

სამაგიეროდ, „პალმები" შერკინებაში მოიკოჭლებენ. ამ ვეება ნაპრალის ამოსავსებად ფიჯის რაგბის ფედერაცია ნაკრების კონსულტანტად უმეტესად უცხოელებს ნიშნავს, რათა მათ ფიჯის ზორბა და ჯანიან შვილებს გუნდური და ჯაჯგური თამაშის საიდუმლოებები ასწავლონ.

მოწინააღმდეგეთა შესაშინებლად ფიჯელებმა ზელანდიელი მაორების „ჰაკას" მსგავსი ცეკვა გამოიგონეს. ჯერჯერობით თავიანთი ხელების ქნევით და ფეხების ბაკუნით მოძრავი სარაგბო ქვეყნების შეშინებას თუ ახერხებენ. ვნახოთ, იქნებ ავსტრალიაში რომელიმე გრანდს მუხლი აუკანკალონ.

„პალმების" მიზანი ამერიკელთა და იაპონელთა დამარცხებასთან ერთად, ზორბა შოტლანდიასთან სასიცოცხლო საგზურისთვის ომია. პირველი ადგილი საფრანგეთისაა, მეორე ადგილისთვის კი სწორედ ფიჯი და სკოტები შეებმებიან და გამორიცხული არაა, ოკეანელებმა ჯგუფში ნატოვარ ბრიტანელები. თანაც ამ გაზაფხულზე ფიჯიმ უკვე შეძლო შოტლანდიისთვის ტესტის მოგება.

# იაპონია

დედაქალაქი
ტოკიო
126 მილიონი მაცხოვრებელი
20 ათასი მორაგბე

**მსოფლიოს თასებზე**

1987 ჯგუფში ყველა თამაში წააგო
1991 ჯგუფში ერთი გამარჯვება
1995 ჯგუფში ყველა თამაში წააგო
1999 ჯგუფში ყველა თამაში წააგო

## ალუბალივით ჩასაყლაპი

„ახლა ისე ჩავიქროლებ, რომ ფილტვების ანთებას აგკიდებ" — დაახლოებით, აი, ასეთია იაპონელების დევიზი, რომლებიც მოედანზე ატომებივით დაჰქრიან.



ჩია იაპონელების მოხელთება იოლი საქმე არ გეგონოთ

ჩია აზიელები ციდან ვარსკვლავებს ვერ წყვეტენ, მაგრამ ბრინჯს ჯოხებით ისე ჭამენ, მარცვალი არ დავარდება, ჰოდა, რა სინტო გაუწყრებათ, ნესვივით ბურთი ხელში ვერ დაიჭირონ. უჭირავთ ეს ბურთი და ამ დაჭერა-პასებში აგერ, უკვე მე-5 მსოფლიოს თასს უწიეს. ერთი ეგაა, „ალუბლის ყვავილებად" წოდებულმა იაპონელებმა მსოფლიოზე აქამდე ნათამაშები 13 მატჩიდან ოდენ ერთი მოიგეს.

ფიჯელებისა არ იყოს, იაპონელთა თულფი სისწრაფეა, რასაც მშვენივრად იყენებენ, აი, შერკინებასა და დერეფანში კი მაგრად იჩაგრებიან, რა თქმა უნდა, თავიანთი ჩია აღნაგობის გამო. ამის გამოსასწორებლად იაპონელებმა კარგა ხანია, იზრუნეს და შორეული ახალი ზელანდიიდან „შავებში" დაწუნებული, ანაც შებერებული მაორები გადაიბირეს. აი ისინიც: რუბენ პარკინსონი, ჯორჯ კონია, ენდრიუ მილერი... ამათგან ყველაზე ყოჩაღი პარკინსონია, ვისაც „თოვლის" შემადგენლობაში ზე-12-შიც უთამაშია. ატების მოსაგებად იაპონელებმა პაიდი მეორეხაზელი ადამ პარკერი დაიგულეს, რომელიც 1,94 სანტიმეტრია და ღერეფანში ბლომად ბურთებს იჩვევს.

წლეულს მსოფლიო რეიტინგში „ალუბლები" მე-18 ადგილზე არიან. მათგან ჯგუფიდან გასვლას არავინ ელის, თუმცა ფუტკარივით მშრომელი და არც უამბიციო იაპონელები აუტსაიდერობას რომ არ შეეგუებიან, ფაქტია. ისინი ალბათ იმს გაუმართავენ მისი ზომის აშშ-ს და ჯგუფში ბოლო ადგილს „იანკებს" გადაულოცავენ.

**მთავარი მწვრთნელი:** შოგო მუკაი
**შერკინება:** ტაკურო მიუჩი (კაპ), იუა საიტო, ტაკეო ომიტო, კოიჩი კუბო, ჰაჯიმე კისო, ნაოია ოკუბო, იასუნორი ვატანაბე, ჰიროუკი ტანუმა, ადამ პარკერი, მასაჰიკო ტაიოიმა, შინ ჰასეგავა, რიო იამამურა, მასაჰიტო იამამოტო, რიოტა ასანო, მასააკი საკატა, მასაო ამინო
**უკანა ხაზი:** ცუტომუ მაცუდა, ტაკაში იოშიდა, დაისუკე ოჰატა, ტორუ ურიკარა, ჰიროტოკი ონოზავა, იუკიო მოტოკი, რუბენ პარკისონი, ჯორჯ კონია, იდეკი ნამბა, ენდრიუ მილერი, იუნიჩი ხუიო, კეიჯი ხიროსი, იუჯი სონოდა, ტაკაში ცუჯი

# აშშ

დედაქალაქი
ვაშინგტონი
285 მილიონი მაცხოვრებელი
55 000 მორაგბე

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — ჯგუფში ერთი გამარჯვება
1991 — ჯგუფში ყველა თამაში წააგო
1995 — არ მონაწილეობდა
1999 — ჯგუფში ყველა თამაში წააგო

**მთავარი მწვრთნელი:** ტომ ბილაფსი
**შერკინება:** დენ ლილი, ტოდ კლევერი, ოლოსეტი ფიფიტა, ჟული გუსი, დეივ ჰოჯი (კაპ), კოლტ შუბერტი, ლუკ გროსი, ჯერარდ კლერკი, ალეკ პარკერი, დენ დორსი, მაიკ მაკდონალდი, ჯონ ტარპოფი, რიჩარდ ლიდინგტონი, იაკობ ვაასდორფი, მეტ უაითი, კირკ ხასიგიანი
**უკანა ხაზი:** ჯონ ბუშოლცი, პოლ ემერიკი, ლინკ უილფლი, მოსე ტიმეტეო, რაიან ვან ცული, დევიდ ფიი, კეინ გროსი, ჯეისონ კეიტერი, სალესი სიკა, ფილიპ ელოფი, მაიკ ერკუსი, მეტ შერმანი, კევი დალცელი, კიმბოლ კარი

## ამერიკანიზმის მსხვერპლი

ამერიკული რაგბი ძლივს აღმოცენდა ამერიკული ფეხბურთის ჩრდილში. იანკებს მთელი ძალა, ენერგია, ყურადღება და ფინანსები რკინის ჩაფხუტებსა და ათასგვარ დამცავი საშუალებებით მოკაზმული ფეხბურთელებისთვის ემეტებათ და მათი სუპერბოული ყველა სპორტის სახეობას ურჩევნიათ. იმის გახსენება კი არ სურთ, რომ ეს წმინდაამერიკული სახეობა სწორედ იანკებისგან დაწუნებული რაგბის ნასხლეტია.

ამერიკულმა რაგბიმ ერთადერთი სერიოზული გამარჯვება 1920 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა, როცა იანკების შვიდკაცა ნაკრებმა ფინალში ფრანგები 17:3 დაამარცხა. მაგრამ ეს შორეული წარსულია. ახლო წარსულში კი მსოფლიოს ყველაზე დოვლათიან ქვეყანაში ეს გემრიელი ბურთაობა სულს ღაფავდა. იყო შემთხვევები, აშშ-ს რაგბის კავშირს ოფისის არენდის ფულის გადახდა უჭირდა. ამერიკული რაგბი „ფეხბურთის" დონეზე ვერასოდეს ვერ მივა, თუმცა 10 წლის წინანდელთან შედარებით ცოტა მომჯობინდა და ფერზეც მოვიდა.

ავსტრალიური მსოფლიოს თასი იანკებისთვის რიგით მესამე იქნება. ავსტრალიაში მათი მიზანი თუნდაც ერთი თამაში მოგებაა. ცხადია, ჯგუფიდან გასვლაზე ამერიკელები არც ოცნებობენ, თუმც ფიჯის და იაპონიას ერთობ ძალისმიერ ბრძოლას გაუმართავენ, ისინი სწორედ ძალისმიერი თამაშით ცნებილან — ყველა უფრთხის ამერიკულ მუშტს.



მოერიდეთ იანკებს!

ბენეტონელ მანუჩარ მარკოიშვილს სურდა, ახალ სეზონს ახალი ნომრით შეხვედროდა. „მანოს", 13-ნომრიანი მაისურა თავის საყვარელ 11-იანზე უნდა გადაეცვალა, მაგრამ ცრურწმენამ სძლია, 13 ნომრით წარმატებული სეზონი მქონდა და მოდი, აღარ გამოვცვლიო. მარკოიშვილს ვარსკვლავები არ მოუკრეფია, მაგრამ ევროლიგის ფინალისტისა და იტალიის ჩემპიონ „ბენეტონში" ადგილის დაბევება 17 წლის ქართველი უკანახაზელისთვის სერიოზულ წარმატებად ჩაითვლება. მარკოიშვილს გუშინ ტრევიზოში შევეხმიანეთ და თავიდან სიტყვა ამას წინათ მიღებულ ტრავმაზე ჩამოვუგდეთ...



# სხვისი თარსი, მანოს კარგი

## მარკოიშვილი 13 ნომერს ვერ შეელია

— ხელი ოდნავ კი მაწუხებს, მაგრამ არც ვარჯიშს ვიკლებ და საკონტროლო მატჩებსაც ვთამაშობ. ექიმებმა მითხრეს, თავი არაფრით შეიზღუდო, ტკივილი ნელ-ნელა გაგივლისო.

**— საკონტროლო მატჩები კი, იცოცხლე, ბევრი ჰქონდა „ბენეტონს"...**

— ჰოდა, მეც ყველა შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა. გუშინ კი „აველინოს" მოვუგეთ.

**— როგორ ფორმაში ხარ, მწვრთნელი კმაყოფილია?**

— მწვრთნელი კმაყოფილი რომ არ იყოს, ხომ არ მენდობოდა? ხან ბევრს მათამაშებდა, ხან — ცოტას. გუშინ სულაც სასტარტოში დამაწყებინა.

**— წინა სეზონში სერია A-ს 10-კაციან განაცხადში იშვიათად ხვდებოდი. სხვა გუნდში განათხოვრებასაც გიპირებდნენ...**

— გადაწყვეტილია, რომ ძირითად გუნდში ვითამაშებ, როგორც ევროლიგაზე, ასევე იტალიის ჩემპიონატში. წინა სეზონში „ბენეტონს" ჩემიანად 5 არაევროკავშირელი ჰყავდა, ლიმიტი კი ოთხია და ამიტომ არცთუ ხშირად ვხვდებოდი სერია A-ს ათკაცა განაცხადში. ახლა კი გუნდში სწორედ 4 არაევროკავშირელი ვართ და მეც ყველა ტურნირზე ვითამაშებ.

**— შარშან „ბენეტონში" რომ გადახვედი, შენი უპირველესი მიზანი ძირითადში დამკვიდრება იყო. ახლა რას უმიზნებ?**

— იმას, რომ არც მომავალი სეზონის ბოლოს მომინდეს 13 ნომრის დათმობა, ანუ კვლავ წარმატებით ვითამაშო. ახლახან ხომ იმიტომ დავიტოვე ეს თარსნომრიანი მაისურა, რომ მასში საკმაოდ იღბლიანად ვთამაშობდი. ჩემი საყვარელი ნომერი 11-ია და ის „ბენეტონში" სეზონის ბოლოს გათავისუფლდა. ცრუმორწმუნე არ ვარ, მაგრამ კარგი სეზონის გამო ძველი ნომერი ვარჩიე.

**— იტალიის ჩემპიონატი კვირას იწყება, თუმცა ერთი ტიტულის წაგება უკვე მოასწარით...**

— ჰო, სუპერთასი „კანტუსთან" წავაგეთ. დასანანი ისაა, რომ ტრევიზოში დავმარცხდით, საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ. წესით სუპერთასი არ უნდა გათამაშებულიყო, რადგან ჩემპიონიც და თასის მფლობელიც „ბენეტონი" იყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც გადაწყდა ამ ტიტულის გათამაშება. წინა სეზონში „კანტუ" იტალიის თასის ფინალში დავამარცხეთ, ახლა კი თავი შევირცხვინეთ. იმ მატჩში მე ცოტა ხნით ვითამაშე, ტრავმა ახალი მოშუშებული მქონდა და მწვრთნელი მომიფრთხილდა. სუპერთასის წაგება კარგი გაკვეთილი იქნება ჩვენთვის, ჩემპიონატში უფრო ყურადღებით ვიქნებით.

**ირაკლი პერტაია**

# ბრაიკოვიჩი პრესას კითხულობს და პრესინგს ითხოვს

*კარსმომდგარი სეზონის წინ ჩემპიონმა თბილისის „დინამომ" პრესკონფერენცია მოაწყო, რომელსაც სიმბოლურად დაესწრნენ გუნდის მეორე მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე და უკანახაზელი ირაკლი ხოშტარია — ჟურნალისტებს ჩემპიონთა ხორვატი თავკაცი დრაჟენ ბრაიკოვიჩი ესაუბრა. ბრაიკოვიჩის ნაუბარს დედააზრი ისაა, რომ „დინამო" ახალგაზრდული გუნდი იქნება, პრესინგს ითამაშებს და ჩემპიონობის შენარჩუნებას ეცდება. ფიბა-ევროლიგის თასზე დინამოელები აღარ ითამაშებენ. ხორვატი მწვრთნელის თქმით, მისი გუნდი ევროპაში სათამაშოდ ჯერ მზად არ არის...*

— მთლად ჩვენი სურვილისამებრ ვერ დავაკომპლექტეთ გუნდი, მაგრამ ამ შემადგენლობითაც შეიძლება კარგი შედეგის მიღწევა. აქცენტს ახალგაზრდებზე ვაკეთებთ და თუ ლეგიონერს ჩამოვიყვანთ, მხოლოდ 23 წლამდე ასაკისას. რაც შეეხება ჩვენს ახალწლეულ დარიო ლივაიჩს, მისი დარჩენა ჯერ არაა გადაწყვეტილი. დარიოს ერთ თვეს ვაძლევთ, თუ არ მოუმატა, კონტრაქტს არ გავუფორმებთ. აქვე ვიტყვი, რომ „დინამოში" ერთ ლეგიონერზე მეტი არ ითამაშებს...

— დუდუ დადიანის მემორიალზე „დინამო" გადაღლილი იყო. ბიჭები ძლიერი ფიზიკური დატვირთვებით იყვნენ მოქანცულნი და ფინალში „სტუ-ჯეოსელთან" დამარცხება ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, რომ სტუ ამერიკული პროგრამით ემზადება. ეს მისასალმებელია. რაც მეტი ძლიერი გუნდი იქნება, ჩემპიონატს მით უფრო შეემატება დაძაბულობა და ხიბლი. ახლა ფიზიკური დატვირთვები შევამსუბუქეთ და დაახლოებით ერთ თვეში სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ვიქნებით...

— კალათბურთელები ახლა დაღლილები არიან დადიანის მემორიალზე მათ ვერ შეასრულეს ჩვენი ტაქტიკის ძირითადი ელემენტი — პრესინგი. არჩილ ჟღენტს დღეს არ შეუძლია, 20 წუთის განმავლობაში აგრესიული პრესინგის თამაში, ამისთვის არც ირაკლი ხოშტარიაა მზად, თუმც 2-3 თვეში ისინი ამას შეძლებენ. რამდენიმე კალათბურთელმა სეზონის ბოლოს სწორედ ამიტომ დატოვა გუნდი. მათში მე ვერ ვხედავდი იმის პერსპექტივას, რომ პრესინგს ითამაშებდნენ...

ვისურვებდი, გუნდში მყოლოდა ზვიად ბაბიაშვილი, გიორგი ცინცაძე, ნიკა ჩხატარაშვილი, ვიქტორ სანიკიძე. სამწუხაროდ, მათი „დინამოში" გადმოყვანა არ მოხერხდება. ორი მათგანი სულაც საზღვარგარეთ წავიდა, რაც მისასალმებელი ფაქტია...

წლეულს „დინამო" ევროტურნირზე არ ითამაშებს, ეს გადაწყვეტილება მიიღო კლუბის ხელმძღვანელობამ. ამ ეტაპზე არ ვართ საიმისო დონეზე, რომ ევროპაში ღირსეულად ვითამაშოთ, თუმც ამის დროც მოვა, მომავალ წელს „დინამო" უფრო ძლიერი გუნდი იქნება...

**ამირან დინარაძე**

# დენვერმა იყიდა, რათა იყიდონ

## იაპონელი მაისურის ამბავში მაინც გაამართლებს

**სამშაბათს** „დენვერ ნაგიტსი" საახალსეზონო სამზადისს შეუდგა. პირველ ვარჯიშს მედია განსაკუთრებულად მიეძალა და, სხვათა შორის, „პეპსი სენთერში" წვრილთვალება ჟურნალისტები სჭარბობდნენ. მიზეზი იუტა ტაბუსი გახლდათ, ნბა-ში გასასინჯად მოხვედრილი პირველი იაპონელი.



იაშუცი კიკუჩი და ჯეფ ბზდელიკი

დენვერელთა ვარჯიშს იაპონური პრესისა და ტელევიზიის 10 ჟურნალისტი დაესწრო, მოგვიანებით კი ოთხკუნძულა ქვეყანამ ფაქსითა თუ სარელეო ხაზებით „პეპსი სენთერში" მომხდარი ამბების არაერთი რეპორტაჟი მიიღო.

„ეს უდიდესი მოვლენაა ჩვენი ქვეყნისთვის — ამბობს იეროგლიფა გაზეთ „ჰოში შიმბუნის" ჟურნალისტი იაშუცი კიკუჩი — იუტა იაპონიის ყველა დროის უძლიერესი მოთამაშეა."

ვერ დავიჩემებთ, „დენვერმა" ტაბუსი საპრომოუშენოდ აიყვანაო, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ ჯუჯა კალათბურთელის მილიონობით მაისურას იყიდიან ამომავალი მზის ქვეყანაში და არც ამერიკაში ბითუმად მოსახლე იაპონელები დაიშურებენ ორ ათეულ დოლარს პირველი ნბა-ელი თანამემამულის ამუნიციისთვის.

„დენვერის" ხელმძღვანელობას რომ 175-სანტიმეტრიანი იუტა გუნდში აჰყავდა, იაპონელ მუშტარზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე იმაზე, ჩვენი ჩია ახალბედა ანდრე მილერის ღირსეული შემცვლელი იქნება და თამაშებს მოგვაგებინებსო.

იუტა ჰავაის კოლეჯში თამაშობდა და დრაფტგაუვლელად მოხვდა „დენვერში". მას ამ ზაფხულს „დალასის" შემადგენლობაში სოლტ ლეიკ სიტის საზაფხულო ლიგაში უთამაშია და საშუალოდ 4,5 ქულა მოუხვეჭია.

იაპონური გვარის კაცი ერთხელ, 1947-48 წლების სეზონში თამაშობდა ნბა-ში, თუმც ამერიკაში დაბადებული ვატ მისაკას პაპა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომამდე წამოსულა ამომავალი მზის ქვეყნიდან. 1981 წელს „გოლდენ სტეიტის" მიერ დრაფტის დასალიერში აყვანილ იაშუტაკა ოკაიამას კი თამაში ეგრეც არ დასცალდა.

ტაბუსის შეძენას „დენვერის" პრეზიდენტი კიკი ვანდევეიჯი ასე გამოეხმაურა: „იუტა რომ ჩვენს გუნდში მოხვდა, ცხადლივ მიუთითებს მის პოპულარობაზე, ისევე როგორც ნბა-ს პოპულარობაზე მის ქვეყანაში."

ნბა საქართველოშიც კია პოპულარული, მაგრამ ვანდევეიჯს რომ ნიკა ცქიტიშვილი დრაფტზე აჰყავდა, ამაზე სულაც არ ფიქრობდა. კიკი რასაც ფიქრობდა, ჯერ არ უმართლებს. ხოლო თუ ვერც ტაბუსი გაამართლებს, იაპონელი მუშტარი ხომ ვერსად გაიქცევა?!

# ქირაფა აზიის ჩემპიონია



იაო მინგი

„ჰიუსტონ როკიტსის" ჟირაფა ცენტრი იაო მინგი აწგასრულებული აზიის ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელი გახდა. ჩინეთში გამართული ტურნირის გამარჯვებული, რა თქმა უნდა, ჩინეთის ნაკრები გახდა, რომელმაც მიითვისა კიდეც ის ერთადერთი საოლიმპიადო საგზური, კალათბურთში ტყემალზე მჯდომი აზიელებისთვის რომ გაუმეტებიათ ოლიმპიადის ორგანიზატორებს.

მინგი ფინალურ მატჩში სამხრეთკორეელებს დააცხრა და 30 ქულასთან ერთად ნახევარი ამდენი მოხსნაც მიითვალა. მინგი და მისი ამფსონი ლი ნანი ყოფილან, რაც ყოფილან, ნანს სახელიანი იაოსთვის ტოლი არ დაუდვია და 26 ქულა მოუხვეჭავს.

თითქოს სიმბოლური იყო, რომ ჩინელთა ჩემპიონობა მათ ეროვნულ დღესასწაულს დაემთხვა. მატჩი ჩრდილოჩინურ ქალაქ ხარბინში გაიმართა და ზღვა მაყურებელი დაესწრო.

ეგებ დაგაინტერესოთ და, მესამე ადგილისთვის ჯახში ყატარმა ლიბანს 77:67 აჯობა.

# ფიცის გვწამს, დეიმონის არა!

სამთვიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ გუშინწინ „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსს" ქეში გამთამაშებელი დეიმონ სტუდემაიერი დაუბრუნდა. თავქარიანი დეიმონი ივლისში დააკავეს ტუსანის აეროპორტში, სადაც ნარკოდეტექტორმა მას საგულდაგულოდ გადამალული მარიხუანა აღმოუჩინა.

სტუდემაიერი ვარჯიშს უკვე შეუდგა, მას გუნდთან გაკარება აქამდე სასტიკად ჰქონდა აკრძალული. „ლიგის დისციპლინარებთან ერთად დეიმონი არც „პორტლენდმა" დაინდო და მარიხუანით ბოლაობისთვის 250 ათასი დოლარით დააჯარიმა. სტუდემაიერი ალალად ინანიებს დანაშაულს და ამბობს, 100 ათასს ჩაროზად გავიღებ, პორტლენდის სკოლების სასწავლო პროგრამების დასაფინანსებლადო.

სტუდემაიერი საქვეყნოდ ცნობილი ქეშია, ის აქამდე არაერთხელ ჩავარდნილა ბალახეული საკაიფო საშუალებების შენახვა-მოხმარებისთვის, თუმც — ამბობს — ეს ბოლო იყოო, ნარკომანიისგან განკურნების 90-დღიან პროგრამაში ჩავერთე და სულ მალე ისეთი სუფთა ვიქნები, მარიხუანას დანახვაც კი შემეზიზღებაო. დავუჯეროთ?



ალექსანდრა კოსტენიუკი

# ქართველი ქალები თავის ადგილზე

**ჯრეტაში მიმდინარე ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე მეოთხე ტურის შემდეგ ქალთა პაექრობაში ერთპიროვნული ლიდერობა მოიპოვა ჩვენმა „ნტნ თბილისმა". ქართველი მანდილოსნები თავიანთ მთავარ კონკურენტ სერბ-ჩერნოგორიულ „პოდგორიცას" შეხვდნენ, 2,5:1,5 მოუგეს და ნახევარი ქულით დაწინაურდნენ.**

**ნანა ძაგნიძე** პირველ დაფაზე რუს დიდოსტატ სვეტლანა მატვეევას დაუპირისპირდა. ჩვენებურმა თამაში თავიდანვე შეტევებით დაიწყო, თუმცა რუსმა ისეთი დიდი ბარიკადები დაახვედრა, რომ იერიშის დროებით შეჩერება მოუხდა. რამდენიმე სვლაში ნანამ საკუთარ ტერიტორიაზე ფიგურები ახალი იერიშისთვის შეამზადა და მე-17 სვლაზე მხედრით რუსის სამფლობელოში შეიჭრა. ბრძოლაში მეტოქეებმა მსუბუქი ფიგურები გაცვალეს, შემდეგ კი მძიმეებით ერთმანეთს დაემუქრნენ და საბოლოოდ 38-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

მეორე დაფაზე მაია ლომინეიშვილის მეტოქე ასევე რუსი, ლამაზ-დიდოსტატი, მსახიობი და მოდელი ალექსანდრა კოსტენიუკი იყო. მეტოქეებმა საკმაოდ ბევრი, 116 სვლა გააკეთეს და საბოლოოდ ქართველმა იმარჯვა.

თავისი პარტია წააგო ანა მათნაძემ. იგი სერბ ირინა ჩელუშკინას ხვდებოდა და ახალგაზრდა ქართველი გამოცდილ მეტოქეს 91-ე სვლამდე ეთამაშა. ბოლოს ჩელუშკინა ორი პაიკით იყო წინ და ორივე ჩასათვლელ ხაზს ერთ ნაბიჯამდე რომ მიუახლოვა, ანამ თამაში მიანებდა.

მეოთხე დაფაზე სოფიო გვეტაძემ პარტია ასევე სერბ ანა ბენდერაკთან კლასიკური e4-ით დაიწყო და წინ გაჭრილ პაიკებს მსუბუქ ფიგურები გააყოლა. მეტოქეს არც ბენდერაკი ჩამორჩა და საკუთარი ფიგურებით აქეთ შემოუტია ქართველს, თუმცა მის იერიშებს ორგანიზებულობა აკლდა და მალევე, 21-ე სვლაზე, დაყარა ფარ-ხმალი.

მესამე ტურში დიდი ანგარიშით წაგების შემდეგ ჩვენი ვაჟების „თბილისმა" უნგრულ „ზალაეგერსზეგ-პიდროკომპს" მოუგო 4:2. მადიართა გუნდი, ქართველების მსგავსად, მხოლოდ თანამემამულეებით არის დაკომპლექტებული, თუმცა ცნობილი დიდოსტატების გარეშე.

პირველ დაფაზე ბაადურ ჯობავამ ლაიოს პორტიში დაამარცხა. უნგრელმა თავიდანვე შეუტია ქართველს და ლაზიერით მის ტერიტორიაზე ღრმადაც შეიჭრა. დაცვაში ჯობავამ გონივრულად ითამაშა და შავ დედოფალს, სულ კუდით ქვა ასროლინა, უკან გაქცეულს კი ესეც არ აკმარა, ფიგურები დაადევნა და 25-ე სვლაზე იმარჯვა კიდეც.

ოდენ 14-სვლიანი გამოდგა გიულა საქსისა და გიორგი ყაჭეიშვილის შეხვედრა. მეტოქეებმა ეს სვლები მხოლოდ დაფაზე ფიგურების განლაგებას მოანდომეს და ბოლოს მშვიდობით დაშორდნენ ერთმანეთს.

ერთიც მეტ, 15 სვლაში მოამთავრეს თავიანთი პარტია მერაბ გაგუნაშვილმა და იოზეფ ჰორვაზმა. მათაც, ყაიმით არჩიეს დაშორება.

დაძაბულ ბრძოლაში იმარჯვა შავი ფიგურებით მოთამაშე მიხეილ მჭედლიშვილმა. მან 43 სვლაში ადამ ჰორვაზს სძლია. ზვიად იზორიამ და ლევან ფანცულაიამ ყაიმებით დაასრულეს თავიანთი შეხვედრები, ეს კი ამ ჩემპიონატზე ლევანის პირველი დაკარგული ნახევარქულა იყო. აქამდე მან წინა სამივე პარტია მოიგო.

ამ გამარჯვებით „თბილისმა" 12,5 ქულა მოაგროვა და ლიდერ „ლადია-ყაზანს" 8 ქულით ჩამორჩება.

**ლაშა ბეგეჭკორი**



## აღმოსავლეთის კონფერენცია
### ჩრდილო-აღმოსავლეთის დივიზიონი

### ბოსტონ ბრიუინსი

„დათვების" რიგებში ბევრი არაფერი შეცვლილა, რაც საშუალებას გვაძლევს, იგი ძველებურად კონკურენტუნარიან, თუმც არაელიტარულ გუნდად ჩავთვალოთ. ჯო ტორნტონის, სერგეი სამსონოვისა და კომპანიის ორგანიზებული შეტევა ბევრისთვის შესაშურია, მაგრამ უკანა ხაზში არის პრობლემები. ძირითადის 6 მცველისგან ნახევარი სეზონის სტარტს გამოტოვებს, რაც ახალ თავკაც მაიკ სალივანის მთავარი თავსატეხი იქნება. ჯეფ ჰეკეტის დაახლოებით იმავე კლასის მეკარით, ფელიქს პოტვინით შეცვლა კი ცნობილ ანდაზას გვაგონებს — თხა გავყიდე, თხა ვიყიდე.

### ბუფალო სეიბრსი

ბუფალოელებს საშინელი ჩავარდნა ჰქონდათ, გაკოტრების პირას იყვნენ, მაგრამ წლეულს გაცილებით ალესილები ჩანან. ეს-ესაა გუნდმა ლიდერი მიროსლავ შატანიც დაიყაბულა ორწლიან კონტრაქტზე. ასე რომ, ყველა პრობლემა მოგვარდა. გუნდის თავკაც ლინდი რაფსაც მკაცრი გამოცდის ჟამი უდგას. მის კომპეტენტურობაში არც ახალ მეპატრონეებს ეპარებათ ეჭვი, მაგრამ თუ „ბუფალო" რეალურ პროგრესს ვერ მიაღწევს, ეგებ მას კარისკენ მიუთითონ. კრის დრურის გუნდში მისვლის ფაქტიც ნიშანდობლივია.

### მონრეალ კანადიენსი

გადის წლები, მაგრამ „მონრეალი" ვერ იბრუნებს თავის სახელსა და დიდებას. ეს არ ძალუძთ მის მოთამაშეებს ასაკის გამო. წლევანდელი „მონრეალი" კიდევ უფრო გაახალგაზრდავდა. როგორც ჩანს, გუნდი უფრო მომავლის პერსპექტივითაც ყალიბდება, მაგრამ კანადური ჰოკეის მექაში ერთი რამ მაინც ვერა და ვერ გაითვალისწინეს — ასეთი არაგაბარიტული და ფიზიკურად არცთუ ძლიერი მოთამაშეების ხარჯზე ნჰლ-ში წარმატება შეუძლებელია. ორი წლის წინ მეკარე ჟოზე თეოდორის საუცხოო თამაშის წყალობით „მონრეალმა" თასის მეორე რაუნდს უწია, მაგრამ როგორც კი მან ვერ ივარგა, გუნდიც შეფერხდა. ზაფხულში ჟოზეს ბევრი უსიამოვნება შეხვდა — საგვარეულო ბიზნესი ჩაუვარდა ახლო ნათესავების მაქინაციების გამო და რა განწყობაზეა ახლა „კანადიენსის" მარჩენალი, ღმერთმა უწყის.

### ოტავა სენატორსი

გასული პლეი ოფის ნახევარფინალში „ნიუ ჯერსისთან" საწყენმა მარცხმა გააორმაგა ოტაველთა ქომაგების მადა. ამას ხელი გუნდის ბოსების ბრძნულმა გადაწყვეტილებამაც შეუწყო. მათ რადიკალური ზომები არ მიუღიათ, კვლავ ენდობიან გუნდის ბირთვს, რომელსაც, მეტი რომ არ ვთქვათ, ერთი წელი მოემატა, შესაბამისად — სიბრძნეც. უმეტესობის აზრით, ლიგისათვის „ოტავა" ლიგაში ყველაზე ნიჭიერი და უნარიანი გუნდია და მუდმივ, თუმც ოდნავ ნელ პროგრესს ბოლოს და ბოლოს უნდა მოჰყვეს დიდი ნაბიჯი წინ. გარდა ამისა, ახლა გუნდს მდიდარი მფლობელიც ჰყავს, რომელიც ჰოკეის დიდი ფანია. ასე რომ, წარმატებას უეჭველად ხელფასების მომატება მოჰყვება.

### ტორონტო მეიპლ ლივსი

ჯო ნუინდაიკი რა მოთამაშეა, ყველამ იცის, თუმც აწ უკვე ტორონტოელის ერთ უნიკალურ თვისებაზეც უნდა ვთქვათ: აქამდე ჯო მხოლოდ სამ კლუბში ასპარეზობდა და სამივეში მოახერხა თასის მოპოვება. რას იზამს მეოთხეში, გადაიქცევა ერთგვარი ჰეთ თრიქი პოკერად თუ არა, ამას დრო გვიჩვენებს. ბევრი ფიქრობს, რომ „ტორონტო"-ის გუნდი აღარაა, ყოველთვის თასის მაძიებელთა შორის რომ იგულისხმებოდა. ვინ იცის, ოდნავ ჩრდილში მოქცევამ იქნებ საპირისპირო ეფექტი მოიტანოს და კანადური კლუბი ამჯერად მოულოდნელად მწვერვალზე აღმოჩნდეს. პეტ ქუინმა ისიც შეიგნო, თანამედროვე ჰოკეიში თავკაცობისა და გენერალური მენეჯერობის შეთავსება რომ უაღრესად რთულია და ბოლო პოსტი ჯონ ფერგიუსონს გადაულოცა. ეს კარგის ნიშანია.

**სამველ ღარიბიანი**



„მონრეალი" კვლავაც ჟოზე თეოდორის ფორმიანობაზეა დამოკიდებული



# ლაბაძემ კრემლი მეორე მისვლაზე დატოვა



პარადორნ შრიჩაფანი

**კრემლის თასი**
**მოსკოვი. ხალიჩა**
**კაცები. საპრიზო 1 მლნ $**

**პირველი წრე**

**ირაკლი ლაბაძე (საქართველო) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 3:6, 6:4, 6:2; ტაილორ დენტი (აშშ) — ფელიქს მანტია (3, ესპანეთი) 6:2, 6:0; უეინ ბლეკი (ზიმბაბვე) — მარატ საფინი (4, რუსეთი) 6:4, 6:7 (5:7), 6:4; კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — ნიკოლას მასუ (6, ჩილე) 6:7 (4:7), 6:2, 6:2; პოლ-ანრი მათიე (საფრანგეთი) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:1, 6:4**

**მეორე წრე**

**აგუსტინ კალერი (2, არგენტინა) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:4, 3:6, 6:1; სტეფან კუბეკი (ავსტრია) — მაქს მირნი (5, ბელარუსი) 6:3, 4:6, 7:6 (10:8); მარკ როსე (შვეიცარია) — კარელ კუჩერა (სლოვაკეთი) 7:5, 7:6 (8:6), სარგის სარგსიანი (სომხეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (8, რუსეთი) 6:4, 2:6, 6:4; ტეილორ დენტი (აშშ) — ოლივიერ როხუსი (ბელგია) 6:4, 2:6, 4:6**

კრემლის თასის პირველი წრე წარმატებული გამოდგა ირაკლი ლაბაძისთვის. 22 წლის ქართველმა მჩოგნემ თავისკბილა ფინელს, ჩემპიონთა რბოლის ამჟამინდელ 28-ეადგილოსან იარკო ნიემინენს აჯობა. ისინი აქამდე ერთმანეთს ორჯერ შეხვედროდნენ, ორჯერვე თიხნარზე და ორივე მატჩი ფინელის გამარჯვებით დასრულებულიყო.

მაგრამ ლაბაძემ მაინც ადრეულად დაამთავრა კრემლის თასისთვის ბრძოლა. ტურნირზე რანგით მეორე ჩოგნის მჭნეველ, არგენტინელ აგუსტინ კაიერის წარუმატებლად ეპაექრა — პირველი სეტი კი მოუგო მაგრამ შემდეგი და კიდევ იმის მომდევნო დათმო და დაამთავრა კიდეც

სხვაფრივ — ადგილობრივი პუბლიკის თვალწინ საშინლად ჩაიფლავა წლეულს ტრავმებით გაწამებულმა და ივლისის შემდეგ უთამაშებელმა მარატ საფინმა. ზიმბაბველი უეინ ბლეკის წინააღმდეგ მან 58 უნებლიე შეცდომა დაუშვა და მხოლოდ 5 ქულიანი დარტყმა მოიმკა.

შეგახსენებთ, რომ გაუთავებელმა ტრავმებმა ამ სეზონში ის სამი მარტო სლემტურნირი გამოატოვებინა და რომ ამ მომენტისთვის ჩემპიონთა რბოლაში ოდენ 62-ე ადგილზეა, 12-თვიან რეიტინგსიაში კი უკვე 26-ემდე დაქვეითდა.

**ქალები. საპრიზო 1,3 მლნ $**

**პირველი წრე**

**ანა პისტოლეზი (ისრაელი) — ნადია პეტროვა (6, რუსეთი) 6:3, 6:3**

**მეორე წრე**

**ელენა ბოვინა (რუსეთი) — ჯენიფერ კაპრიატი (1, აშშ) 4:6, 6:4, 7:6 (7:3); ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 6:3, 4:6, 6:3 ელენა დემენტიევა (3, რუსეთი) — ელენა კოშტამიჩი (ხორვატია) 6:2, 6:3; ანა პისტოლესი (ისრაელი) — სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) 7:6 (7:5), 6:0; ანასტასია მისკინა (4, რუსეთი) — მაგი სერნა (ესპანეთი) 6:3, 6:1; ფრანჩესკა სკიავონი (იტალია) — დინარა საფინა (რუსეთი) 7:5, 7:6 (7:3); ვერა ზვონარიოვა (7, რუსეთი) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 6:2, 6:1; ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) — ტინა პისნიკი (სლოვენია) 6:3, 3:6, 6:4**

# გადასატანი კარიერა

ბუენოს აირესში დიეგო მარადონას მუზეუმის პრეზენტაცია მოეწყო. მუზეუმი გადასატანია და მარადონას მიერ მისი კარიერისას მოხმარებულ 600-მდე ნივთს მოიცავს. ნივთებს შორისაა ის ბუცებიც, რომლებითაც ჯადო არგენტინელმა 1986 წლის 22 ივნისს, მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისელთა კარში „საუკუნის გოლი“ შეაგდო. აქვეა იმ ღარიბული სახლის მაკეტიც, სადაც მარადონა თავისი კარიერის დასაწყისში ცხოვრობდა. „გადასატანი მუზეუმის“ გახსნას დიდძალი ხალხი დაესწრო. მათ შორის იყვნენ დიეგო არმანდოის ქალიშვილები იანინა (მარცხნივ) და დალმა (მარცხნიდან მესამე), მეუღლე კლაუდია ვილაფა (მარცხნიდან მეორე) და მამა დიეგო ულუ (მარჯვნივ). მუზეუმი, რომელსაც „M10“ ეწოდება, ბუენოს აირესიდან სხვაგან გაგორდება და ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანას ეწვევა.



REUTERS ბუენოს აირესიდან



REUTERS ბუენოს აირესიდან





REUTERS ჰონკონგიდან

# ცვილი იაო

ცნობილი ჩინელი მეენბიეე იაო მინგს მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურათა ჰონკონგურ დარბაზში ორეული დაუდგეს. იოა პირველი ჩინელი სპორტსმენია, ვისაც ამგვარი პატივი ერგო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულიაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხოჟერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge